

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

3 აპრილი 2009

№7(85)






1516  
2009



„ყოფითი“ ელგუჯა ამასუკელი  
ნიკოლოზ ჩუბინიძის ნოველა  
თეიმურაზ დოიაშვილის იდეა  
ვარლამ შალამოვის დომინო  
ჯანო ჯიქიძის მოთხრობა  
ტომას ელიოტის კლდე

„ყოფითი“ ელგუჯა ამასუკელი  
ნიკოლოზ ჩუბინიძის ნოველა  
თეიმურაზ დოიაშვილის იდეა  
ვარლამ შალამოვის დომინო  
ჯანო ჯიქიძის მოთხრობა  
ტომას ელიოტის კლდე

# წიგნის თარო





**შინაარსი**

<b>ბადი კახიას</b>	<b>2</b>	<b>თეიმურაზ დოიაშვილი მშვიძროს, მომენიშდა ღვინო</b>
<b>ანსარა-ნიბარაძე</b>	<b>3</b>	<b>ცაცხლაჲ შედგომულ რქასაჲთი</b> (საუბარი გენო კლანდიასთან)
	<b>4</b>	<b>„მე არ მინდა ცარიელი საგვარო“</b> (საუბარი ნინო სადღობელაშვილთან)
<b>არაზა</b>	<b>6</b>	<b>ჯანო ჯიქიძე რუსტიკო და მისი ჯანი</b>
	<b>13</b>	<b>ნიკოლოზ ჩუბინიძე ნინია და ქეთუსია</b> (დოკუმენტური პროზა)
<b>არაზა</b>	<b>18</b>	<b>მურღვა არდოტელი მზის ბარათები</b>
<b>არაზის პირი ლაქი</b>	<b>21</b>	<b>კატო ჯავახიშვილი შიშაღანი</b>
<b>პირველი უთავბოლოება</b>	<b>21</b>	<b>მალხაზ ივანიძე ჩაქატილი სინამდვილე და კომპოზიციით</b>
<b>ფიქრი და პანაჲ</b>	<b>22</b>	<b>ბაჩანა ბრეგვაძე რელიგია და მემკვიდრეობა</b>
<b>ნაინი უფა, ნათესავები</b>	<b>35</b>	<b>როსტომ ჩხვიძე ერთი ნეთი უპარო</b>
<b>დამარცხი</b>	<b>36</b>	<b>თუ მატარებელი უნდა იქნას სიზმარი, თარგმანილი ტექსტი დედის სიზმრად უნდა აღვიქვათ...</b> (ივანე ამირხანაშვილის ესაუბრება გურამ გოგიაშვილი)
<b>რამოსაჲთი</b>	<b>42</b>	<b>დარინა ყურუა თაღლითი — რომანის გმირად</b> (ელგუჯა თავბერიძის ნიგნის განხილვა)
<b>ნათესა და წყვილი</b>	<b>45</b>	<b>ნოშრევან არაბული ივანე ჯავახიშვილი და ჩვეულებრივი მკითხველი</b>
<b>დასუნიანი სახელები</b>	<b>47</b>	<b>ვახტანგ დავითაია „ყოფითი“ ელგუჯა ანაბუქაძე</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>49</b>	<b>სალომე კახანაძე „ქველი ყველასათვის“ — ერის დამამბული დილაჲ</b>
<b>პანაჲგარეა</b>	<b>52</b>	<b>იოსებ ჭუმბურიძე ცნობა რამ ბაბარინა და უფრო მკითხველსაჲთ</b>
<b>პროზის მარტივება</b>	<b>54</b>	<b>ტომას ელიოტი ქლდე (ქრონიკა პოემიდან)</b>
<b>უხურონი ნიქადა</b>	<b>56</b>	<b>ვარლამ შალამოვი დროინო და სხვა ნიქადა</b>
<b>პროზა</b>	<b>63</b>	<b>აღმოსავლეთი და დასავლეთი</b>

დაამუშავებელი „ილიონი“  
 მისამართი: თბილისი,  
 ჩუბინაშვილის №41  
 რედაქცია — (995 32) 96-20-62  
 რეკლამა — (995 93) 65-93-68  
 გაერცელება — (995 99) 41-95-21  
 ფაქსი: (995 32) 96-20-62  
 E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი — როსტომ ჩხვიძე  
 პროზის რედაქტორი — ივანე ამირხანაშვილი  
 პოეზიის რედაქტორი — შაკა ჯოხაძე  
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი — თამაზ ნატროშვილი  
 მხატვრული რედაქტორი — კარლო ფანულია დიხაიანი — მალხაზ იაშვილი  
 სტილისტი-კორექტორი — ნინო დეკანოიძე დაკაბადონება — თენგიზ რობიჭაშვილი  
 ოპერატორი — თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი — ეკა ზუგიაშვილი  
 გაერცელების სამსახური — ლევან კიკნაძე



შეამუშავებელი: „ილიონი“ PRINTED BY: "IMELIA TSCF" PRINT HOUSE  
 სარედაქციო მისამართი: თბილისი, 17 შარაშიას ქუჩაზე  
 0000000000 +995 32 51 01 62 TELEPHONE: +995 32 51 01 62

გარეკანზე: მანაბელას დასის მემორიალი კრწანისში  
 მურმან ჩაჩუას ფოტოტივლი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 17 აპრილს

თეიმურაზ დოიაშვილი

# ვზიქრობ, მომნიშნა დრო

ორიოდე თვის წინ როსტომ ჩხეიძემ თავისი ახალი, რეაგვერდიანი წიგნი გადმოცა — „აგვისტოს შვილები“, რომელიც მამას — ბატონ ოთარ ჩხეიძეს მიუძღვნა. დოკუმენტურ რომანი-მონოგრაფიას ასეთი ქვესათური აქვს: „მამაჩემი ოთარ ჩხეიძე“.

ჩვენი მოუწყობელი ცხოვრება, მოგესხნებათ, თავისუფალ დროს არ გვიტოვებს, ამიტომ იმ საღამოს მხოლოდ გადათვალერება გადაწყვიტე წიგნისა, თუმცა, გამომიტყდებით, თვალერებაში თითქმის სამასი გვერდი „შემომკითხა“. იდეაც მაშინ დაიბადა.

როცა რომელიმე ავტორი მამაზე წიგნს წერს, დიდა საცდური ისტორიული თუ კულტურულ-ლიტერატურული ფაქტებისა და მოვლენების იმგვარი ინტერპრეტირებისა, რომ შუქჩრდილებს, აქცენტების სასურველი განლაგებით ნათელი შემაჩის ახლო-ნელო ადამიანის სხოვნას, ან გამოტოვებს, გვერდი აუტყვიოს საბოლოო რეალიზებს, ხოლო ზელოეწური „თეთრი ლაქები“ გამარნაგონით შევასოს.


როსტომ ჩხეიძემ მწერლის რეკუმირებული ბიოგრაფია კი არა, მთელი ეპოქის რეალისტური მატიაზე წარმოუდგინა მკითხველს და მისცა საფუძელი ფიქრისათვის, რომ:

— ოთარ ჩხეიძე ობიექტურად არის ის ფიგურა, რომლის ირგვლივაც იყრის თავს ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-კულტურული მოვლენების ფართო სპექტრი გასულ საუკუნის ოციანი წლებიდან დღემდე; რომ:

— მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების თანამიმდევრული მეცნიერული რეკონსტრუქცია საბჭოური სინამდვილის კონტექსტში ჩვენი მენტალიზის ისტორიულად მიუკერძოებელი წარმოსახვის პრეტენციას შეიცავს.

სწორედ წიგნის მასშტაბურობამ და საპართილიანობის განცდამ დაბადა აზრი — დაარსდეს „ოთარ ჩხეიძის შემოქმედების კვლევის ცენტრი“, რომელიც მხოლოდ ერთი, თუნდაც დიდი მწერლის, შემკვიდრების შემსწავლელი პერსონალური უწყება კი არ იქნება, არამედ XXI საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა და თანამედროვე ლიტერატურულ პროცესთა მეცნიერული რეცეფციის ქუმშარიტი კერა.

„ცენტრი“, იმედა, კოორდინირებულად წარმართავს თავის საქმიანობას, უპირველეს ყოვლისა, მოამზადებს ოთარ ჩხეიძის მრავალტომიან აკადემიურ გამოცემას, სადაც წარმოადგენილი იქნება ავტორის ჩანადიერის ავთენტური ტექსტები, ნაწარმოებთა ტექსტოლოგური „თავგადასავლები“, როგორც იდეოლოგიური ცენზურის თარემის უტყუარი დოკუმენტები.



მიმდინარე სამეცნიერო კვლევის შედეგების გამოსამზურებლად დასაწყისიდანვე საქირო და აუცილებელი მგონია აგრეთვე, სპეციალური წელიწადული კრებულის სისტემატური გამოსვლაც.

ზოგადი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება „ცენტრის“ მომავალ მესვეურთა საქმეა, მე კი ახლაც შემოიღია ერთი კონკრეტული პროექტის იდეა შეთავაზო მათ.

არსებობს ოთარ ჩხეიძის ენის ფუნოქნი, მისი, ასე ვთქვათ, ენობრივი მემკვიდრეობა, რომელიც გასაგები მიზეზების გამო არ არის ასახული „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“. მწერლისეული რჩეული ლექსიკური საუნჯის თავმოყრა ერთ წიგნში ნამდვილად კარგ სამსახურს გაუწევს შექიჩებულნი, დამცრობილი ქართული ენობრივი კულტურის მოძლიერეული ენობრივი ცენტრისათვის.

ბასა და აღმასვლას, ანასთან, ღირებული შენამენი იქნება არა მარტო მოძლიერი ენის დამფასებელი ქართული მკითხველისათვის, არამედ პრაქტიკული დამხმარეც უცხოელი მთარგმნელებისათვის.

საქართველოში ხშირად ბევრი რიგიანი წამოწყება არ შემდგარა საქმის შესაფერისი თავკაცისა და თანამოაზრეთა გუნდის არარსებობის გამო. ამ მხრივაც, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში არავითარი შემადფერებელი გარემოება არ არსებობს: ერთი, რომ ძნელი წარმოსადგენია „ოთარ ჩხეიძის კვლევის ცენტრისათვის“ უფრო მისაღები და გამოკვეთილი წინამძღოლი, ვიდრე როსტომ ჩხეიძეა — შეუზღუდავი დიაპაზონის მკვლევარი, ერუდირებული მეცნიერი, არაერთი სასიკეთო თოსიანობის სულსჩამდგმელი და გერგილიანად წარმმართველი მეორეც — და ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია! — ბატონ როსტომთან წლების მანძილზე თანამშრომლობენ კვლევა თაობის ლიტერატორები, რომელთაც სასურადადუბო ნაშრომები მიუძღვენს ოთარ ჩხეიძის პროზას — რომანებსა და ნოველსტიკას, დრამატურგიას, ესეიტყუასა თუ პუბლიცისტიკას. „ცენტრი“, როგორც მაორგანიზებული სტრუქტურა, სამომავლოდ, ცხადია, მიზანმიმართულად, ერთ კალაპოტში მოაქცევს სპეციალისტთა სპონტანურ, ინდივიდუალურ ინიციატივას.

ფიქტორი, დრო მომიწოდება. სახვალოდ გადადებულ საქმე, როგორც იტყვიან, ემპისასა, ჩვენი კ დიდი თანამედროვის — მწერლისა და ერისკაცის — ლეწილის დაფასების მადლიანი გზას დაგვადგენ, მით უფრო, თუ ამ გზას ეროვნული ღირებულებების შეცნობისა და განმტკიცებისაკენ მივყავართ.



# ცაცხლვა შედეგულ რქესაპით...

## საუბარი განო კალანდიასთან

— ახლახან თქვენი პროექტით და რედაქტორობით გამოიცა ორტომეული „აფხაზეთი ქართულ პროზასა და პოეზიაში“. რა მიზანს ისახავს ორნივე ნაწილის გამოცემა, ეს უბრალოდ რეტროს თუ მომავლისკენ იხედებით?

— ბუნებრივი კითხვაა, მაგრამ სანამ აღნიშნულ ნიგუნებზე ვისაუბრებდეთ, მინდა შევახსენოთ, რომ აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების კავშირმა ამ სამიოდე წლის წინათ გამოსცა ენობრივი აფხაზი პოეტის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შარვაშიძის ორტომეული. სამუხარობო, ქართული ლიტერატურული ელიტა აკადემიური დუმილით შეხვდა აღნიშნულ ფაქტს. გიორგი შარვაშიძე სამაგალითო პიროვნება იყო ქართველია და აფხაზთა შორის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თანამოაზრე და უახლოესი მეგობარი. როცა გიორგი შარვაშიძეს, როგორც შთაგრის მემკვიდრეს, აფხაზეთში ცხოვრება აუკრძალეს, მან ქუთაისს მიაშურა და მთელ შეგნებულ ცხოვრება ქართულ მაჯაზე ედო ხელს. თქვენი ტურნალის მკითხველებს შევახსენებ, რომ გიორგი შარვაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წერდნენ გიორგი რობაქიძე და გერონტი ქიქოძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სიმონ ჯანაშია, შალვა დადიანი და თედო საბოკია.

წარსული ჩვენი ისტორიული სარკეა, ის თანამედროვე პოლიტიკოსებზე უკეთ გვეხმარება სამომავლო გზების ძიებასა და ურთიერთობის განსაზღვრებაში.

როცა აკაკი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, ვალაკლონ ტაბიძე, ლეო ქიქოძე და სხვები ქმნიდნენ აფხაზეთის თემაზე თავიანთ შედეგებს, სწორედ ის ძვირფასი სარკე ედგათ საწერ მაგიდაზე. იქიდან მოდიოდა ის ლევატორიცი სხივი, რომლის შუქზე არაერთი თაობა გაიზარდა. თუ ხბამალალი ნაიქვამი არ იქნება, ჩვენც ამ პრინციპით ვმუქმედებდით.

— რამდენად სრულია გამოცემა, ნუთუ ორტომეულმა დაიტარა ზევა მასალა ზღვისპირეთის შესახებ?

— ვიკასუებთ. სრული ვერ იქნებოდა ჩვენი მწირო შესაძლებლობების გამო. ჩვენი გამოცემლობები შეუვალეები არიან ანგარიშსწორების დროს. და მაინც, მადლობა მინდა მოვახსენო გამოცემულთა „ეროვნული მწერლობის“ მესვეურთ. მათ ყველაფერი გააკეთეს ორტომეულის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსაცემად. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო შესანიშნავი მხატვრისა და გრაფიკოსის გოგი წერეთლის დამსახურება, ის ყოველთვის ჩვენს გვერდითაა.

— კრებულებში არ ჩანს გურამ ოდიშარიას სახელი. რატომ?

— რაც შეეხება ჩემი უმრწემესი მეგობრისა და მწერლის გურამ ოდიშარიას, არ დაბეჭდვას, არ გამოჩენას, ჩვენი მიზეზით არ მომხდარა. სამწუხაროდ, მას გული ატკინეს. ვინ ან რატომ? იმას ალბათ თვითონ იცის. ჩემი შეფასებით, გურამ ოდიშარია გ. შარვაშიძის კვალზე მავალი შემოქმედია, გიორგი შარვაშიძის პრემიების კომიტეტის თავმჯდომარეც ის გახლდათ ბოლო წლებში. მისი შემოქმედებისა და სულიერი ამაღლებულობის გაუთვალისწინებლობა არააუის ეპიტეფია. ეს გახლავთ ჩემი მოკლე პასუხი.

— როგორი გამოხმაურება პქონდა პროექტს?

— თუ შედეგობაში არ მივიღებთ ი. ჭუმბურიძისა და ე. ნადარევიშვილის კოლეგიალურ თანადგომას, ჯერჯერობით არაფერია.

— რას იქმს აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირი?

— რა ქნას? ჩასიძებული, ბეჩავი კაცის ენერგიით ჩართი-ერთობის სოხარ სუბარის ოფისის თავმჯდომარეული. ახალი პროექტი გვაქვს, საქართველო აფხაზურ პოეზიაში, სადაც ოცამდე აფხაზი პოეტი იქნება წარმოდგენილი. აღნიშნული ნივთის გამოცემის იდეა ჩემი ძველი მეგობრის, შამილ ფილიას ერთსტრუქიანი ლექსის ნაკითხვის შემდეგ დაიბადა:



**ვხედავ ჩვენს შორის ტყვია ჩამდგარა, — ერთდროს ისევე ვერ დაუფასეთ, მაგრამ რა ვუყო ამ გულს, რომელიც ვერ დაივიწყებს ნოდარ დუმბაძეს.**

სხვათა შორის, შამილი პირად ურთიერთობაში მძიმე კაცი იყო. ხშირად ეკამათობდით კიდევ. მეგონა არ ვუყვარდი, მაგრამ ცუდებოშიც, კიდევ არსებობს რაღაც შანსი. წიგნი ალბომის ხასიათისაა. ვალაკლონ ტაბიძე და დიმიტრი გულია, ირაკლი აბაშიძე და ბაგრატ შინკუბა, ნოდარ დუმბაძე და ივანე თარბა, შოთა აკობია და ივანე პაპასკარი, ჭაბუა ამირჯეჯია და ვუჟმა აბუბა, კარლო კალაძე და ალექსი ჯონუა ერთ რეალობაში, ერთ ფოკუსში იქნება წარმოდგენილი.

ის ჩვენი ისტორიაა, ჩვენი გუმნიდელი დღე! ჩვენ მთერ დაბეჭდილი წიგნები კეთილი შუამავლების შემეხებით ხვედა მათ ხელში. ისინი საიმედოებით დღეუ-

საქართველოს  
პარლამენტის  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახურის  
სამსახურის  
სამსახურის  
სამსახურის



ლობენ ჩვენს გზავნილებს. რა ექნათ, აბა სხვანაირად რო-  
გორ მოვიქცეთ?! როგორც შამილ ფილია ვერ იყინებებს  
ნოდარ დუმბაძეს, მეც ვერ ვიყინებ ჩემს გამზრდელ ივა-  
ნე თარბას, ჩემს ჯუმა ახუბას, მუშნი ლასურას, ბორის  
გურგულიას, ალექსი გოგუას, მაილია ავინჯალს, ნიკო-  
ლოზ კვინინის, შოთა საღაყაის, გიორგი გუბლიას და

სხვებს და სხვებს. ამ ურთიერთობებს, როგორც თამარ  
დრაგაძე ამბობს, „ცეცხლზე შედგმულ რძესავით“ გაფ-  
რთიხილება სჭირდება.

ესაუბრა  
მაღნახ ნიანიძე

# „მე არ მინდა ცარიელი სამყარო...“

საუბარი  
ნიმე სადღოპლაჰვილითა

— შენ პოეტი და პროზაიკოსი ხარ. თავიდან რომელს  
წერდი, ლექსს თუ მოთხრობას?

— აღარ მახსოვს, სულ თავიდან, მგონი, ლექსებს  
წერდი. ხანდახან კი — მოთხრობებს, რომლებშიც ამ ლექ-  
სებს გაეურვედი ხოლმე. დღემდე მიჭირს ავიღო ჭკუშპარი-  
ტების ბასრი სამართებელი და ჩემივე გულიდან, ლიტერა-  
ტურული თანრების სამართების სახელით, ცალ-ცალკე  
გავაყო ისინი. ეს რაღაც ერთი მთლიანი ტექსტივითაა, ხან  
ლექსად იწერება, ხან მოთხრობად, გნებავთ — ნოველად.

— შენს ბიოგრაფიაში ერთი საინტერესო დეტალია  
— შენმა მოვლინებამ ამქვეყნად მამას ლექსი შთააგო-  
ნა. რამდენად მოახდინა გავლენა შენს შემოქმედებაზე  
მამის მოძღვნილმა ლექსმა?

— ალბათ მოახდინა, რადგან თუკი საიდანმე იწყება ამ  
სამყაროში ჩემი სიხარული, ვფიქრობ, ეს ამ ლექსიდანაა —  
დავობადე და ჩემი დაბადებით გახარებულმა მამაჩემმა  
თავის ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი ლექსი და-  
წერა. სულ ერთი-ორჯერ მაქვს ნაკითხული და ამ ლექსის  
ისტორიაც მე გაბოძავებულზე, ისევე ჩემი ნილი პატივმოყვა-  
რებისათვის (ხომ შიშვლებმა, ხანდახან ეს სიტყვა თბილი  
იყოს, მზრუნველი), მამას არც აბრუნებულ სჭირდებოდა.  
უამისობადაც მაღლიური იყო ყველაფერის მიმართ.

— ნოველაში „ერთი უსახელო“ მამა გველის ნაკე-  
ნით ეკვდება... ნამდვილად მოხდა ეს ამბავი?.

— ახლა მეხოთრება ამაზე ლაპარაკი. შეიძლება მართლა  
წინათგონიშნავსავით იყო. მამა „პურის საშოვნელად“ წავიდა  
და მართლა სიჩუმეში მოკვდა. მეტაფორა ახდა. მეტაფორები  
სიხშირებით მფრინა ხოლმე და, აი, როგორც სიხშირი, ისე ახდა.

— სიხშირი ნაჭერილობებს გავს“. წერ ერთ ნოველა-  
ში. რა არის შენთვის სიხშირი?

— სიხშირი ჩემი ბედისწერაა. სულ თან დამეყვება. ხანდა-  
ხან ეწყველი კიდევ. ხანდახან ვლოცავ. ვიცი, რომ ის არაა  
ყველაფერი, რომ მის მიღმა ჩემთვის ყველაზე მიმზიდველი  
და საოცნებო რამ, ოღონდ, სიხშირს თუ თავი დავადინებ, იმ

შემთხვევაში. ბევრჯერ  
გადაეურწინებარ. ნე-  
სით, მისი მხოლოდ  
მადლიერი უნდა ვიყო.  
მაგრამ ვარ კი არ ვი-  
ცი. რთული ფიქრია და  
ძალიან შორს ნამიყ-  
ვას, რომ გავყვე...  
— „ბამბაზის სა-  
მოთხე“ წარმატებით  
დაიდგა ქუთაისის  
ლადო მესხიშვილის  
თეატრის სცენაზე.  
როგორ მუშაობდით  
სპექტაკლზე?



— „ბამბაზის სა-  
მოთხე“ გამოჩვეუ-  
ლი ბედს დაჰყვა. არაფერი განსაკუთრებული მოთხრობა  
არაა. ტყიელიც ისეთი აქვს — თითქოს საყუველთაო და  
ლამის ბალაღური: აფხაზეთი, მარტოობა, გაუცხოება. მაგ-  
რამ მეგობრებმა გამოიცოცხლეს. ჯერ ჩემმა უახლოესმა  
მეგობარმა, მსახიობმა იონანე ხუციშვილმა ნაიკითხა, მე-  
რე, ასევე, ჩემს მეგობარს, რეჟისორ გიორგი სიხარულიძეს  
ნაიკითხა და, ასე დაიბადა მოთხრობის პიესად ქცევის  
იდეა. ჭობულეთში წავედით, ჰიესაზე იქ ემუშაობდით. გან-  
საკუთრებულად მახსოვს ის დღეები... მერე კი გიორგი სი-  
ხარულიძემ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის  
დრამატულ თეატრში დადგა ამავე სახელწოდებით. სპექ-  
ტაკლი მაყურებელმა შეიყვარა, რადგან ყველამ რაღაც  
თავისი წილი დაწვინა და სიყვარული იმყოფა ალბათ იქ.

— ვინ არიან შენი საყვარელი მწერლები?

— გურამ რჩუელიშვილი. მარკესი. გურამ დონანიაშვი-  
ლი. ერლომ ახვლედიანი. სერგეიანტსი. ჯემალ ქარჩხაძე.  
უსასრულოდ. გურამ რჩუელიშვილი...

— რა როლს ასრულებენ მეგობრები შენს ცხოვრებაში?

— მერამ მამარდავლიანი მახსენებდი, მან თქვა, რომ საჩუ-  
ქარი მხოლოდ მამინაა ცინცხალი და ძვირფასი, როცა ის არ  
დაგიმსახურებია. უმდიდრესი ადამიანი ვარ, რადგან რამდენ-  
იმე დაუმოხარებელი საჩუქარი მაქვს ლვისისგან — მეგობ-  
რების სახით. ზოგთან ერთად გავიზარდე, ზოგს მოკვანე-  
ბით შეუხვდი, მაგრამ მტკიცედ მჯერა, რომ ამ სამყაროში ჩე-  
მი მეგობრობა ნინასნარ იყო გადამწყვეტილი. ბევრი რაბით  
გამოვიცადე, როგორც იტყვიან. და ალბათ ნინ ამაზე მეტია  
გასაღწელი. მე ეს გზა მომწონს — ბიჭაბიჭიანი. მადლი აქვს...

— რას ვერ აპატიებდი მეგობარს?

— ლაღასი. ეს შეუვალაა — ლაღასი ვერ ვაპატიებ.

— ყველა შემოქმედი თავისებურად მუშაობს. რო-  
გორ იწერება ლექსი?

კონსტანტინე  
კობახიძე



— პროცესის აღწერა არ შემიძლია, არც გამოვივა. თან, შესაძლოა სულაც არაა საინტერესო. ეს დაახლოებით იმის გავს, ერთ დილასაც — რომ განვიმეცადო, ან საღამოს — მივიარებ ღრუბული გადაივლის, ან ბაღახა ამოვა და ასე შემდეგ. როგორ ხდება ეს ყველაფერი? დიდი, დიდი და მშვენიერი კანონით...

— რამ შთავაგონა გოდფრიდი ჩოხენლუ ლექსის დაწერა?

— გოდფრიდი ჩოხენლი გამოჩენილად მიყვარს თავისი პიროვნულ-შემოქმედებითი სამყაროთი. მისი სიკვდილი ჩემთვის კიდევ ერთი სევდა იყო. ნათელი სევდა, რომელიც კი არ მთრგუნავდა, არამედ რაღაცნაირად მამშვიდებდა, მაიმედებდა. ეს განცდა მერხდა, გოდფრიდზე ლექსს როცა ვწერდი.

— როგორ მოქმედებს უნუხ ნარმატება? პოპულარობა? — რამზავალია...

— მარკესმა, ვიდრე დიდი მწერალი გახდებოდა, ფურნალიტობით დაიწყო. შენც რადიოში მუშაობ. რას გაძლევს ეს სასახური როგორც შემოქმედს?

— ბავშვობაში მართლა ვიცნებობდი ფურნალისტობაზე. ანტიფურნალისტობისას მომზადება დავინწყე იმ ბუნით, რომ უნივერსიტეტში ფურნალისტისთვის ფაკულტეტზე უნდა ჩამებარებინა. მაგრამ კეთილსინსურელებმა მიარჩიეს, რომ ამ იარაღისგან ხელი აშეღო, რადგან ფურნალისტისთვის ძალიან საჭირო თვისებები არ მქონდა. პო, რაღაც კიდევ სხვა საქორება ამ საქმეს, პიროვნული, ხასიათში, ბუნებაში. ახლა რომ ვფიქრობ, სწორადაც მიარჩიეს და მეც ჩემი თავი ფურნალისტად არასდროს მიმიჩნევია, იმის მიუხედავად, რომ საპატრიარქოს რადიოში უკვე რამდენიმე წელია ვმუშაობ.

— რატომ?

— ფურნალისტისაგან მეტი აქტიურობა, სიმკვირცხლე უნდა. სამზინად მომზონს იდეა, რომელიც ამ პროცესშია დევს და, რომელიც ჩვენს სინამდვილეში, საწმინდარად, არცთუ ნარმატებით ხორციელდება. ფურნალისტები ხომ არაღაც ეტაპზე ფაშთაღმწერლებიც არიან, თუკი ამ სიტყვასაც, არაქალ მუსიკასთან ერთად, საქმიანი იუმორითაც ნარმატოვებიათ. მე დიდხანს ფიქრი მიყვარს, შემიძლება ამ ფიქრში დღეები, კვირები ვაშეპაროს, და სად ვიღო მერე ისედაც თავულებლად გაქენებულ დროს, რომელიც დანარჩენებისთვის სულ ქრანსიკებად უნდა მიმეფლებინა? საპატრიარქოს რადიოში ეს ფუნუნება მომცა — დრო. ცოტააღმნი დრო.

— რას ნიშნავს შემოქმედისთვის რწმენა?

— სუნთქვას, არსებობას ნიშნავს. უამინად შეუძლებელია. მითუმეტეს, შემოქმედელ შეუძლებელია ურწმუნო იყოს. რაღაც მაინც სწამს, სულ ელემენტარული ფაქტორი, თუნდაც ის, რომ ქუჩაში ვიღაც დაიპარა და ბაჰაშეს აკაცია... ურწმუნობა დიდხანს ვერ ცოცხლობს, ნიადაგი არა აქვს. თუცა ეს ცოტა ხანიც ხანდახან წლიობი გრძელდება ხოლმე.

— რომელი საეკლესიო დღესასწაული გიყვარს?

— აღდგომა მიყვარს. ქრისტიანისთვის და, საერთოდ, ალბათ ყველა ადამიანისთვის მსოფლიოში, არანუგონა იმანზე შთავარი, ვიდრე განახლება, ვიდრე სიცოცხლე, ყვაილობა. აღდგომა ეს სასწაულია. სხეულით რომ გრძნობს კაციც და ხეც, ცხოველიც და ბაღახიც, სხეულის დონეზეც კი — დაბადება რომ ხდება, თუნდაც დიდი ტკივილების ფასად, და მერე სული სულს რა ემართება ამ დროს! აღდგომა ჩემთვის ნუგეშია, ყველა ომის და ყველა სიკვდილის მერე ნუგეში.

— იყო მწერალი — შემთხვევითობა თუ ღვთის ნება?

— ჩვენს საეკლესიო სამყაროს ქართულად წუთისოფელი ჰქვია და, შემთხვევითობის ბილიც არსად ისე მძაფრი არაა, როგორც წუთისოფელში. ხანდახან გვარია, რომ ეს მწერლობაც, ეს სიყვარულიც, ეს გარდაცვალებაც — შემთხვევითია. მაგრამ მხოლოდ ხანდახან. მე მეფერა, რომ ღვთის ნება ყოველთვის. საკითხავი ისაა ხომც — რისთვის? მწერლობაც და, საერთოდც, ჩვენი ცხოვრება, ალბათ ამ კითხვის პასუხებია. არა, მხოლოდ პასუხების გაცემის პროცესი.

— დღეს მრავალი მიმიღიანობომა... შენ რომელს მიაკუთვნებ თავს?

— მიმიღიანობებზე საერთოდ ვერ ვლაპარაკობ. თან ჩვენს გარშემო ისე სწრაფად იცვლება ყველაფერი, უკვე გარჩევაც ძიროს. ეს ესთეტიკაში, რა კულტურულ-ფილოსოფიურ სიღრმეშიც ვცხოვრობთ? რა ჰქვია ამას, როცა ზოგს ცველაფერ აქამდე შექმნილ-დაწერულზე, ნაფიქრსა და ნაოცნებარზე ვუღს აზიდებს, ზოგი პირიქით, ყოველგვარი სიბახლის მოს შეუეყრია და დამარბული ერის აღდგომამდე აღარაფრის არც ნაკითხვას და არც დანერგება აღარ აპირებდა... თითქოს ყველაფერი არიან და, ასეც რომ არ იყოს, მაინც გამიჭირდებათ ჩემი თავი რომელიმე კონკრეტული „იზმისთვის“ მიმეკუთვნებინა. და არა იმიტომ, რომ შემთხვევითი თავისუფლებას განვიციდი (რა ზედმეტიცაა ზედმეტიცნითი თავისუფლება), არამედ იმიტომ, რომ ეს ყოველივე ბელუენური იქნებოდა. ადამიანზე ხანდახან ხელოვნურად ეწმით ტერმინებს, სიტყმებს, ვუღებს, რომ მერე ასე მონსტირებულად უფრო ილია აზროვნება. მე არ გამომიღის. ვერ.

— რომელია შენი საყვარელი ფერი?

— ზუსტად არ ვიცი, რა ჰქვია ამ ფერს, მაშუცა ვაფარობის ნახავი ვნახე ერთხელ, გგონია „მე“ ჰქვია ნახავს, იქ იყო სწორედ ეს ფერი, რომელიც დაბადების წუთიდან თან დამყვება, პირის ფერითიც კი ვგრძნობ ხოლმე. ლურჯამდე მწვანე, დანისილი ნეფრისფერი, ზაფხულში რაჭამი იცის წვიმის შემდეგ ცა — აი, იმ ცის ფერი.

— თუ გიფიქრია სიკვდილ-სიცოცხლეზე?

— ეგ ჩემი ფიქრია. როგორ გაძლებ ადამიანი უაღფიქროდ?

— რა არის სიყვარული შემოქმედისთვის?

— რაც უნდა ვთქვა, ყველა სიტყვა უტყვი იქნება, არაფერი გამოვიღა. სიყვარული ჩემთვის სიტყვების იქით რომ სიჩუქცა, ისაა. რწმენაა — სულ უნდა გწამდეს, ანუ გიყვარდეს, ანუ არსებობდეს.

— რომანი „ორსული“... რამ გადაგანყვებინა მისი დაწერა?

— ეს რაღაც ახალი ჩემს თავს — რომანს პირველად ვწერ. უცნაური პროცესია: ისეთ შეკვარებულობას გავს, როცა მთელი ცხოვრება მხოლოდ ერთი კაცია გიყვარს, ამ ქალ. ჯერ არ ვიცი, რა გამოვა, თუმცა ძალიან ბევრი რამე დავუცქავშირე. ყველაფერი ის, რაც რეალურებაში უნდა მოხდარიყო, ამ შეიძლებელია მომზადარიყო და არ მოხდა... ეს ნივინ სიყვარულსა და თავისუფლებასა და იმას, რომ უნაყოფობა ნყველა და, თუკი უნდა, რომელ უნაყოფობას ვუღსისხნობთ, ხისას თუ კაცისას, ხორცისას თუ სულისას. სიყვარული სიცარიელეთა და ყოველივე სიცარიელე... — დღეს ექვლ სიტყვებზე ასე იტყობა. მე არ მინდა ცარიელი სამყარო.

ესაუბრა თამარ შამიშელაშვილი



ჯანო ჯიქიძე

# რუსტიკო და მისი ჯანი

... ცხოვრებაში სიმწარე, თავუნა, ნუ ფიქრობ, მარტო შენ გარკუნა, ბედის ჩარხს უტულმა აბრუნებს დროულა მკაცრად, არ ზოგავს, ერთგვარად აღონებს თავსაც და კაცსაც...

რომბერტ ბერნსი

["მინდვრის თავის, რომელსაც სორო დაუნერია ჩემმა სახისმა"]

### პატივცემულებო!

კი ბატონო, მე გიყი ვარ, გეთანხმებით. სწორადაც იქცევით, როცა თავს მარიდებთ, თავალს მარიდებთ, მერღებობთ. მყუდროა ცხოვრება გირჩენიათ, საზრუნავი ულევია გაქვთ, საფიქრალიც, მაგარმ მანაც შევასხენებთ, გიჟად არ დავგაბებებულვარ — მე შემშალა ამ რყევებმა; მყოფე მშვიდობამ, ომმა, მსოფლიო კრიზისმა, "ჭკუის კოლოფებისგან" აშენებულმა ეკონომიკურმა მოდელებმა, მაცდური ელვარებით მოიჭილნა ხუზულებმა, მატრიარქატის და პატრიარქატის მგმობილებისგან რომელიღაცა-კრატის დაკანონებამ, საძვარის დასაბამშივე ჩადებული სოხასწორობის საწყისის, დაღუპტიკის, ურთიერთშესაძამისონის უფლებეტილყოფამ, ქალების მასკულინიზაციამ და კაცების ფემინიზაციამ. მე ამას ვგმობ და ვებრძვი. და ახლა, როცა დავრჩნუნდი, რომ ბრძოლის ბედის სასწორი დამარცხებისკენ გადაიხარა, გამიწნდა ასეთი გიჟური სურვილი — მოვიწოდოთ, რომ თქვენც იბრძოლოთ, პატივცემულებო!

აღერ მეც თქვენსავით ვეთანხმებოდე აზრს — "ჩიტი ბდღენად არ ღირს", მაგრამ რაც ტყუილად შევიშალე, აღმოვაჩინე, რომ ეს თეზისი მხოლოდ ნაწილია წინა მოცემულობის, ანუ იმის, რომ საწამ ამ დასკვნას გააკეთებდა, პატივცემულება ბრძენმა მანამდე დაუსუა, რომ ჩიტის ბდღენა შეიძლება. ეი, თუ დაეუშვებო, რომ ბდღენა ნებადართულია, მხოლოდ ამის შემდეგ დგება არჩევანი ღირს თუ არა ჩიტის ბდღენა. ჩემი გიჟური ლოგიკა მკარანახობს, რომ არჩევანამდე საჭივ არ უნდა მივიდეთ. ეს კი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ზედმიწევნით დავიცავთ პრინციპს — არ ბდღენა! ეს ჩემთვის იოლია, რადგან ჩემი პრინციპია ჩიტის არბდღენა.

იყო იყო, როცა ჩემი ცოდნა ორნითოლოგიაში ნელის ტლიო იყო. ახლა კი, როცა გიყი ვარ, შემძილია დაბეჯითობით გითხრათ, პატივცემულებო, რომ ჩემი ცოდნა ორნითოლოგიაში >0.

მე-20 საუკუნის დამწევი და 21-ე საუკუნის დამდგენ ჩემს პირად ცხოვრებაში დიდი მოვლენა იოხდა (მაშინ

სრულიად ნორმალური ვიყავი და ამიტომაც მახასიათებდა ჩვეულებრივი ამბის გაზვიადება), ბინა შევიძინე და დავსახლდი ჩულორეთის ერთ-ერთ ე.წ. იტალიურ ეზოში.

რას აკეთებს ნორმალური კაცი, როცა ახალ საცხოვრებელში გადაბარგებას აპირებს?

სწორადაც, სწორადაც რომ გვრ მოვიქცი — რემონტი წამოიწყე: რაღაცეები შევაკეთე, რაღაცეები გავაკეთე-გადავაკეთე. ზოგი რამ შევალამაზე, ზოგსაც უბრალოდ ხელი შევავლე და რეალურად არსებული შესაძლებლობების ფარგლებში ჩემი ახალი ბინა (რომელიც სინამდვილეში ძველისძველია — 1909 წელსაა აშენებული) გავაჯობტავე.

ამ შეკეთება-გადაკეთებაში, აღადგება-დასადგებაში ერთი უკუთხე ხელუხლებელი დაეტოვე; უფრო ზუსტად, ლია აივისნი ბოლოს, ჭერთან ახლოს მიყუდული კუნძული არც შევლესე და არც საღებავი ნავაცხე — ეს ადგილი გადაკეთებას არ საჭიროებდა, რადგან მშენებელს ისე უნაძკლად ემუშავა, რომ ახლაც აღერთოვანებას მცირის მისი ნახელავის ნახვა — ეს იყო და დღემდე არის ტრადიციულად ნაშენი მერცხლის ბუდე. ჭერიდან ათიდაე სანტიმეტრის მოშორებით მერცხლებს ბუდე აუშენებიათ. ეს უკუთხე კი ისეთია, არც წვიმა ხვდება არც ქარი, არც მზის პირდაპირი სხივი უყურებს, რომ გადახურდეს. ქვევიდან ძალი და კახა ვერ შენდება, ჭერიდან თავი ვერ ჩამოძვრება; თუ კიბეს არ მიოდგამს, ადამიანსაც არ მიუნდებდა ხელი.

ოთხი წლის განმავლობაში ბუდე იყო უქადაური (უჩიტური უნდა მეთქვია), ასე რომ, იმედი გადაამწურა კიდვეც — დავასკვენი, ეს ბუდე ერთხელ და სამუდამოდ მიტოვებულია-მეთქი.

2003 წელს გამოჩნდა მერცხალი — რუსტიკო.

ეს მე ერთ მშვენიერ საღამოს აღმოვაჩინე. საბურავიდან ჭერის ნახევრებში ჩამომავალი ტელევიზიის კაბელები იოდა და ძინა. გამოიხარდა, თუმცა ჯერ არ ვიცოდი, თუ ჩენიანი გახდებოდა. სკოლიდან მოულოდბული, ჭრთივლი პოეტების ლექსებმა ისე შემათვისეს მერცხალზე წარმოდგენები, რომ მეც ნორმალური ადამიანის მსგავსად ვაზვიადებდი — ეს ფრწველი ლამის სულით ხორცამდე ქართვლის იმედად მიმანდა.

2008 წლის აგვისტოში რუსტიკო და მისი ცოლ-შვილი გაუჩინარდნენ — ისე უცბად გაქრნენ, რომ ვერც მივხვდი, თუ აჯარ დაბრუნდებოდნენ. აგვისტოს შუა რიცხვებში ვის ცხებოდა საამისოდ. ვველა თავზარდაცემული იყო მოულოდნელად გაჩაღებული ომით და ელვისებური მარცხით — ქართლის სიღრმეში ტემოვილი მტრის ვითომ-თავშეკავებული თარეშით, სემოვილის ნაამბობით და მავანის ბატი-ბუქით, რომ ჩვენ არ დავმარცხებულვართ, რომ ეს მხოლოდ გვეჩვენება...

მაშინ გაკვირდა და დავიწყე ლოდინი.



\* თარგმანი თამარ ერისთავისა





მერცხლები აღარ დაბრუნებულან. აიყარნენ და ნა-  
ვიდნენ. დედაბუფიანადო, ვერ ვიტყვი (ბუფი ახლაც აქეთ  
— ღმერთს მადლობა). სრული შემადგენლობით გაიქცენენ.  
თბილისს მტერი არ შუშოსვია, მაგრამ მერცხლებში მინაც  
გაიქცენენ. მე მგონი, ჩიტები პანიკამ მოიკვა — სამაჩაბ-  
ლოში დაბრუნებული ბუფებიდან ნაშოსული მერცხლების  
გუნდს გორის რაიონის მერცხლები შეუერთდნენ. აქაურე-  
ბიც აპყენენ განგაშს, შეუერთდნენ და მათთან ერთად გა-  
დაიკარგნენ. ისე კი არ ნავიდნენ, როგორც, ჩვეულებრივ,  
გადააქრენი ფრინველები იქედნიან — გადაფრენამდე  
ერთი თვით ადრე გადაიკარგნენ.

მანამდე როგორ იყო, პატივცემულებო?  
კი, ნამდვილად, მერცხლის ბუფიან სახლში 1999 წელს  
გამემოხარტადი. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სა-  
ღამომაცხვებს აიგანზე ვუერთდები ხოლმე და კარგად  
მასოსხ, იმ წელს ბუფე ვერ კიდევ ცარიელი იყო. ფინალ-  
ში ფსონი ბრაზილიაზე დაგდე (მამინ მხოლოდ გიყი თუ  
დღემდეა გერმანიის გამარჯვებაზე). იმ წელს ჩიტები არ  
გვყავდა, თორემ ფინალური მატჩის მოსაგებად მარტო  
ბრაზილიელი ფეხბურთელების კი არა, ჩემი მერცხლების  
მივდივო შენებოდა.

შემდეგ წელს, 2003-ში გამოჩნდა რუსტიკო. მასთან ურ-  
თიერთობისთვის დღე-ღამის განმავლობაში ცოტა დრო  
იყო. დილით მერცხალი ჩემზე ადრე იღვიძებდა და სადაღაც  
მიდიოდა. მე კი დღისით ვნაშაობდი და შინ არ ვიყავი. ასე  
ორი, მხოლოდ საღამოს ეგზამპლები ხოლმე ერთსა და  
იმავე ადგილას, ტელეკაბელზე ჩამოშვადარს და მოიღებო-  
რეს. ისე ზუსტად აგნებდა ერთხელ ამორჩეულ ადგილს,  
რომ პირდაპირ ქვეით, იატაკზე, საგანგებოდ მისთვის და-  
გებულ გახზოზე ერთხელაც არ დაუცილებია სკინტლი.

ერთხელ, კვირა დღეს, შევნიშნე, რომ გახუთი, რომე-  
ლიც მანამდე მინიც და მინიც არ იყო დასავრილი, საკმაოდ  
"დატვირთული" იყო. საღამოს კაბელზე ორი მერცხალი  
ერთმანეთის გვერდით იჯდა. მივხვდი, რუსტიკოს ცოლი  
მოუყვანია.

თბილისელი მერცხლები ყველანი სოფლები ყოფი-  
ლან, ეს ახლა ვაივამ, როცა გავცივდი და ინტერნეტში  
ქექვა დაიწყე.

1758 წელს ცნობილმა მეცნიერმა კარლ ლინეემ აღწერა  
ჩემში ფართოდ გავრცელებული ეს ფრინველი და მის  
ლათინურად *Hirundo Rustica* უწოდა, რაც ქართულად  
სოფლის მერცხალს ნიშნავს.\*

ქალაქის მერცხლებიც არსებობენ თურმე, მაგრამ კუ-  
ლის მაკრატლი უფრო მოკლე აქეთ; ისე, სხვაშორივ, გან-  
სხვავება არ ყოფილა, რაც შთავარია, ყველას ვეროპული  
ქექვა — სოფლის და ქალაქის ჯიშის მერცხალს ვეროპე-  
ლი მაკრატლა ქექვა. არსებობენ შუაზილიდი და ციმბი-  
რელი მერცხლებიც.

ზოდა, ეს ჩემი ევროპული კუდმაკრატლა რომ მოპყე-  
ვბოდა ქიქტიკს, ჩაახვევ-ჩაახუჭუჭება და, როგორც "ვი-  
კიპედიში" წერია, ბოლოს რაკრაკით დააკვირვებინებდა  
ხოლმე, თქვენი მონონებული. ჩიტების ქიქტიკით და გა-  
ლობით არასდროს აღფრთოვანებულა, მომწონებია კი

\* განსხვავებული შრიფტით მოტანილი ტექსტი ნასესხებია ცნეკლოპედიებიდან.

ერთი-ორჯერ, ისიც — მოალერსის გალობა, რომელიც,  
შედარებით დაბალი ტემპრის გამო, თითქოს უფრო ხავერ-  
დონად მქცენებოდა. დანარჩენ შემთხვევებში სტენეა-  
ტიკისის მოსწინა არასდროს მომნატრებია — ულტრაბე-  
რები სასამხარეოს ისედაც ყოველდღიურად შესისი. არც ამ  
მერცხლის ქიქტიკ-არაკაზე დაუძრავი სიტყვას, მაგრამ  
დღემდე ასეა — სწორედ იმ ქიქტიკ-არაკაზე ვცნობ რუს-  
ტიკოს. თუ ეს ხმა ეზოდან ისმის, ვიცო, ის არის; თუ არ  
ჩანს, ვიცო, აქ არის სადაღაც, ახლომალა.

რუსტიკო რომ დაპოვინდა, ცოლსა და ქმარს განსა-  
კუთრებელი არაფერი გაუკეთებიათ: ახალშეძენილი ძე-  
ვი ბინა დააღაგეს, გააკოტაგეს; ამავედროულად, ჩემგან  
განსხვავებით, სხვა საქმესაც არ მოცდენიან. ამის შედეგი  
კი მალე გამოჩნდა.

ღამით კაცი იჯდა მარტო იჯდა თავის ადგილზე, ანუ —  
ტელეკაბელზე. მდებრმა ბუფები გადაიარსებია; მერე უკ-  
ვე დღედაღამ იქ იჯდა — ე.ი. კვერცხები დაღო და გამოსა-  
ჩეკად ათმობდა.

განჩინენ ბარტყები.

მშობლები ბარტყებს მერცხლი 400-ჯერ კვებენ (ზოგი  
მონაცემებით 600-ჯერ). დეტალები მიგვარცის შემდეგ  
წლიდან წლიამდე ერთი და იგივე ადგილს კი უძრუნდებიან,  
მაგრამ ძველ ბუფს არ იყავნენ, თუნდაც დაუზიანებელი  
იყოს, მინაც მის გვერდით ახალს აუზებენ.

ენციკლოპედიამ არაფერი წერია იმაზე, რომ სხვისი,  
მინიმუმ 4 წლის განმავლობაში მიტოვებული ბუფე, ენი-  
სის საცხოვრებელი გამოიყენებინოს, მაგრამ ფაქტია,  
რუსტიკოს უკაცური ბუფე იპოვა და დაისაკუთრა. კონკრ-  
ეტნიც არაფერს გამოსჩენია, არამედ გამოაფეხვა, რასაც  
ვიც ვიტყვი მისი მშობლებზე. ამ მდებრ მერცხლებს  
დღეს ვადაგება სხვა ქალი, რომელსაც უნდა, მისი ადგილი  
დაიკავოს ბუფეში; მაგრამ რუსტიკოს ცოლი, დღიი შემარ-  
თებით არა, მაგრამ მინაც წარმატებისთვის იცავს თავის პო-  
ზიციას.

მერცხლები ბუფეს იმეზებენ თიხის პანანინა ვუნდე-  
ბით, ლერწმის ლერწმით, ნერწყვით შენებებული ლულა-  
შის ნამცეცხებით. საშენი მასალა დამშრალი ტბორებიდან,  
ლერწმთან-ლავაშიან ტბის ნაპირებიდან მოქვთ.

ეს ჩვენი მერცხალი სულაც არ არის ულაჯყო. ეგ კი  
არადა, პირიქით, ყოჩაღაც მგონია. შიქილბო, უბრალოდ,  
ზარმაცია; ამ შეილება აქამდეც სახლის ამენება სცადა,  
მაგრამ ხელი მოეყარა — ახლა რიყეზეც ვერ იშოვიდა სა-  
შენ მასალას; არადა, ლისის ტბიდან ხომ ვერ ჩამოიტანდა  
თიხას და ლულაშს. ასე რომ, ეს უკნით ევროპული სოფ-  
ლის კუდმაკრატლა იმ ბინას დასჯერდა, რაც იპოვა თბი-  
ლისში, ერთ-ერთ ე.წ. იტალიურ ეზოში. სხვისი ამენებელი  
და მერე მიტოვებული ბუფე დააღაგა და აქ დაიღო ბინა.  
დანერული ბუფე ხომ საშინელი სანახავია, მასთან შედარ-  
ებით მიტოვებული ბუფე (კივის ლეკიკით თუ ჩაუფიქ-  
რდები) უფრო უარესია. ამან კიდევ გააყოცხლა მიტოვ-  
ებული — მადლობის მეტი არ მეთქვია. მას შემდეგ რუსტი-  
კო ყოველ განზახვებულზე საკუთარ ბუფეში ბრუნდება.  
ახალს არ იკეთებს, იქნებ არც იცის, ან აღარ ახსოს შენე-  
ბა იმ ძველი მშენებლისგან განსხვავებით, რომელმაც ბუ-  
ფე უსაფრთხო ადგილზე უნაკლოდ ააგო, რე დაშხვედრა,  
თვითონ კი კაი ხანია ცოცხალი აღარ არის.



გადაფრენის წინ მერცხლები გროვდებიან. გუნდში ერთიანდება რამდენიმე ასული ფრინველი.

პატრეცემლონი, გადამფრენი მერცხლების ქარავანი არც მამინ მინახავს, როცა ნორმალური ვიყავი, და არც ახლა, როცა გიჟი ვარ, მაგრამ მახსოვს თანამიმდევრობა, რომელზეც ყოველთვის იყო დაცული.

სექტემბერში რუსტაკი ისევ მარტო რჩებოდა. ე.ი. ცოლი და შვილები ადრე გადამფრენ ქარავანს მიპყვებოდნენ. ჰოდა, კაცი ისევ მარტო რჩებოდა, თავის ამოჩემებულ ადგილზე იჯდა — კუმბი, მდუმარე, მოზუხული. რის ჭკუტკი, როცა ქახტახი და რაკრაკი — იმხანად მისგან ჩაქმასაც ვერ გაიგონებდით.

იჯდა, იჯდა და... არ ვიცი, ვისთან იყო მოლაპარაკებული, რა შეთანხმება ედო საფუძვლად ამას ცველადენს, მაგრამ ჩემი გიჟური ლოკიკით ასე მგონია: სწორედ ეს დრო, თავისი ბუდის ახლოს მდუმარედ გატარებული ღამეები აძლევდა ამ კაცს საშუალებას, ზუსტად დაემსახურებინა ეს ადგილი, რომ შემდეგ გაზაფხულზე შეუძლებლად მოსულიყო. ჩველურეთში საბუნ მასალას რომ ვერ იძიებდა, ეს ხომ იცოდა. ახალი ბუდის აშენება რომ შეუძლებელი იყო — ეხეც; ამიტომ ათმაგად ადისებდა თავის სახლს (ბუდე უნდა მთქვა, პატრეცემლონი).

ნორმალური კაცი იტყვი, ეგ კუდმარტალები რუსტაკო სოფელში წასულიყო, ჯიშინი ხომ ისედაც სოფლებილიო Hirudo Rustica. ეგებ მართალიც იყოს ამის მიქმელი. სოფლად, უკეთეს ვარემოში ერთ სეზონზე პარტყლები რომ თავისი გამორეკა-დაფრთიანებას ასწრებენ სოფელი მერცხლებში. ჩემმა რუსტაკომ კი, დარწმუნებულ ვარ, ერისა და იმავი შეზღუდვითან, მხოლოდ 2007 წელს გამოჩნდა ორი ნეცხა პარტყები. გამოჩენილი კი გამოჩენეს, მაგრამ იმ მეორე თაობის პარტყები პაწიანი, ავგისტიკის ბოლოს ახალადფრთიანებულები იყვნენ და, ჩემი გიჟური ლოკიკით მგონია, აფროკამდე გადაფრენა მათთვის შეუძლებელი იქნებოდა. წასულიყ მარცხ ნაივინდენ. დედასთან ერთად წაივინდენ. სანამ აქ იყვნენ, ამათაც და მანამდე სხვებსაც, ერთი ხედახორა და რა-რაა ჰქონდათ ყოველ საღამოს იმ ტელეკაბულზე ჩამოსაჯდომ-დასაყვანებლად. რატომ ჰქონდათ ამოჩემებული ის ადგილი, ვერ გამოგია — 45 წელია ტელევიზორს ვუყურებ და იმ კაბელით ტელეეკრანამდე მოტანული ინფორმაციით დღემდე ვერაფერი ვიხიერე. ეგ კი არა, ბოლოსდაბოლოს, გავგიჟედი კიდევ. ვერ ვისწავლე ჭკუა, მაინც ვუყურებ ტელევიზორს მორიგ იმდევკრებობამდე. ამით კიდევ ისეთი აყალ-მაყალი ჰქონდათ აბტეხილი, აღარც დედას ერთდებოდნენ და აღარც მამას. იყო ერთი განეც-გამონეცვა და ვაკიკვი. ერთი გაზეთი კი არა, ოთხი გადახლილი გაზეთი არ ყოფილა იმით სკანტილაცეენას.

ამასთან დაკავშირებით 2004 წლის თაობა გამახსენდა. მაშინ მშობლებს სამი პარტყი ჰყავდათ: ორი ნორმალური და ერთი — ნახევრად ხეიბარი, რომელსაც ფრენის დროს მინცდამინც ვერ განახსებებდი დაწარჩენებისგან, მაგრამ ტელეკაბულზე დაგანებისას აშკარადებოდა, რომ ზუსტად კოორდინირება უჭირდა. სხვებიც კი მოხერხებულად კი არ ჩაალებდა თავის წერტილ-წერტილ კლანჭებზე კაბელზე, წეს სკარტით ეკიდებოდა, მერე ამაოდ იქნებოდა ფრთებს და ფარხობლებდა. ამასობაში სხვები ასწრებდნენ დასხდომას და ამას თავიდან იშორებდნენ.

მეცოდებოდა, რადგან მაშინ ნორმალური ვიყავი, ფრთოსანი ნახევრად ხეიბრის გაჭრევენას ადამიანურ გაჭრევენას ვამზავსებდი, ე.ი. ვაზაფხუდებო. მეცოდებოდა, მაგრამ ვერაფრით ვეზნებებოდი.

ჩემმა სასიხარულოდ, იმ გაჭრევენებულმა თვითონ მოავნო გამოსავალს (კოორდინაციის უნარი ჰქონდა დარწმუნებული, თორემ აზროვნება კი არ უჭირდა). ერთ საღამოს ენახე, რომ მარტო ზის. ხუთი წუთის შემდეგ გამოჩნდნენ დედ-მამა და და-ძმა. ჩვეულებრივ ატყდა განეც-გამონეცვა და აყალ-მაყალი, მაგრამ ამას არავინ შეუდავებია — ერთმანეთს ეჯიკენენ, ედავენენ. ეს კი არხებინად იჯდა თავის საყვარელ ადგილას, დამრეცვად დაკიდებულ ტელეკაბულზე, სულ ბოლოში, ჭერთან ახლოს — იქ, სადაც ყველაზე მეტად თბილა. ასე განმეორდა მომდევნო დღეებშიც. ის ნახევრად ხეიბარი შეიღო სხვებს მოძრაობის კოორდინაციამ ჩამოუფარებოდა, დროში კოორდინირება კი ყველაზე უკეთ მიქმლი. ყოველთვის სხვაზე ადრე ბრუნდებოდა შინ. ალბათ, დროსტარებზე, ნადირობაზე, ნუგაძრე მწერებით პირის ჩატკნარუნებაზე უარს ამბობდა ცოტათი ადრე, ვიდრე სხვები, ზუთიოდ წუთით ადრე ანებებდა თავს დღის ცხოვრებას და მოხერხებულად გადადიოდა ღამისთვის რეჟიმზე. და მინც ვეჭვობ, რომ იმას აფროკამდე ჩაეღლი. ის ხომ მისი პირველი გადაფრენა იყო. თავის დროზე კი გაფრინდა, მაგრამ სიერცემი ორიენტაცია ეძნელებოდა. გეზი დასწავლად-დატეკიანებულ ხომ, თავისთავად ცხადია, ვერ ექნებოდა. ბრმად უნდა მიჰყოლოდა ქარავნის სვლას. არავინ შეინუსებდა მისთვის თავს, არც დედა და არც და-ძმა — კაბელიდან ჩამოსაყვანებად ემტკნებოდათ და იქ, ცაში, შორი გზის გასავლელად მომართულები, მხოლოდ საკუთარ ძალას დანდობილები, ვერც შეინახავდნენ, რომ უფლს ერთი ნახევრად ხეიბარი გამოეღლია. მეორე დღით, ღამისთვის შემდეგ არავინ ამოიკითხავდა ქარავნის ნევრების სიას, ემანდ, ვინზე არ გვაკლდესო. ალბათ, ნახევრადხეიბარზე და კიდევ მოხუცი მერცხლები არიან ოქტომბრის მერცხლები, რომლებზეც ენციკლოპედიამი წერია: მასობრივი გადაფრენა ხდება სექტემბერში. ოქტომბერში კი მხოლოდ ქარავანს ჩამორჩენილ ერთოვლებს შეიძლება ნანაცუდ სადმე.

რუსტაკი, ღმერთმა უშველოს, არაფერი ემართება. ყოველ გაზაფხულზე ჩამოდის პირველი, ყოველ შემოდგომაზე მიდის ბოლო.

ათავიდან მონოგამისტკი მგონია. სამაგალითოდ უფლიდა ცოლ-შვილს, თუმცა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, თავი ვერ გამოუღვია. 2005 წელს უცხო ქალის ისე თამამად შემოქრის ჩვენს აივანზე, რომ, ვერაუდოდ, ეს შემთხვევით არ მომხდარა. ჩემი გიჟური ლოკიკით ვასკენი, რომ ამ ქალს, ჩვენ რომ ვიცი, იმ კაცთან ურთიერთობა აძლევდა სწორედ იმ სითამამეს, რითაც აივანზე ზემოქრის და ზუღისაკენ გაეშურა. ახლა არ ვთქვა, რამე განსაკუთრებული გარეგნობისა იყო-მეთქი, არ იქნება მართალი — ერთი ჩვეულებრივი ევროპული სოფელი იყო ე.წ. Hirudo Rustica. ოჯახის უფროსი კაბელზე იჯდა. არც ხმა გაუღია, არც ხელი გამოუღია, ცოლმა კი ინილა და მოსულს გადაეხედა. აქედან ფრთა გაჰქრა, მერე თავს დაღარა, იქედან მზარი უბიძგა, უწილა, უკელა, უკან დაახვეინა და აივინდან ეხშობი გადაედგა. ერთ ნაშბზე უკან მოპრუნებულს ხე-



ლახლა დაუხედა — უნივლა, უკივლა, გააქცია და ჭოქო-  
ლაღ მიაყარა.

მეგონა, ამით დამთავრდებოდა ეს ამბავი, მაგრამ არა.  
ყოველ საღამოს მოდიოდა ის რუსტიკა, ეკვებებოდა,  
ოჯახში შეჭერს ცდილობდა და ამაჲ აკეთებდა რალაც  
თავდაჯერებლად, თითქოს მართლა ეკუთვნოდა ამ  
ოჯახის წევრობა.

სოფლის მერცხლები ერთცოლიან მერცხლებად ით-  
ვლებიან, თუმცა მათ შორის ორცოლიანობის შემთხვევებში  
მთავითი სულაც არ არის. მენჯვილის გარეშე დარჩენი-  
ლი მდედრი, როგორც წესი, უერთდება დაოჯახებულებს  
მთელი სეზონის მანძილზე, თუმცა ეს "დაბმარე" ბარ-  
ტყებს არ ეკებავს. შე-  
ნძლებდა ბუდის მშე-  
ნებლობაში მონაწი-  
ლეობა მიიღოს, კვერ-  
ცებზე ზე დაჯდეს და  
გამორეკავი მიეხმა-  
როს კრებ მდედრს.  
შეიძლება ოჯახის  
უფროსს შეუწყვილ-  
დეს და, ამგვარად,  
პოლიგამიური წყვი-  
ლი შექმნას.

იმ წელს უაზროდ  
გრძლი მაის-ივნისი  
იყო (შეიძლება ით-  
ქვას, თბილისისთვის  
შეუფერებლად ციო-  
და კიდევ). დღისით,  
ჩვეულებრივ, სამსა-  
ხურში ვიყავი. საღა-  
მოს შინ დაბრუნე-  
ბულმა ეს ჩვენი რუს-  
ტიკო კაბელზე ვერა  
ვნახე. ბუდიდან აქეთ-  
იქით თითო მაკრატე-  
ლი ჩანდა. მოვხვდი,  
სიცოცხე რომ არის,  
ესეც კვერცხებს ახის  
თავის ცოლთან ერთად-მეთქი.

ვახშობისას ჩემმა მეუღლემ მითხრა: ნახე, რა მეოჯა-  
ხე მერცხალი გვეყოლია, როგორ ეხმარება თავის მეუღ-  
ლს, შენსავით კი არ არისო — მსუბუქად გამკეცნა, მაგ-  
რამ მიზანს მაინც მიაღწია — იმ წუთში, ცოტა არ იყოს,  
დავიბოღმე კიდევ. მერე დაღამდა, განვიმდა. უაზროდ  
ცოდა — ამკარა იყო, ზაფხულმა თვაპატკი დაიღო —  
მოსკლას აგვიანებდა. აივანზე ბნელოდა, რადგან განათე-  
ბა ერთხელ და სამუდამოდ გადაინება სხვადასხვა მიზეზის  
გაშო. ავიღე ელექტროფარანი და მერცხლების ბუდე-კუნ-  
წულს მივაღვეი. დავინტერესდი, რას შევბიან, ხომ არ გაი-  
ყინენ ამ სიცოცხლე-მეთქი. მივანათე ფარანი. ერთბაშად  
ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. ბუდიდან მაკრატლები დაუჩქი-  
ეთ ამონვეროლოყო. ვუკირკიტე, ვუკირკიტე და დაუიჯე-  
რე: ბუდეში სამი მერცხალი იჯდა, თავსამხოზობლები და  
კუდაშოშეკრებლები. რა თქმა უნდა მივხვდი, ის მესამე ვინ

იქნებოდა. ჩემი ცოლისთვის ნიშნის მოგება დაეპირე. ვი-  
ფიქრე, ვეტყვი, ეგ შენი რუსტიკო კაი მეოჯახე რომ გგო-  
ნია, ინსტინქტებით ცხოვრობს მხოლოდ — აგე, აცვივდა  
და მარტო ცოლ-ქმარი არა, შენ რომ არ იცნობ, ის მეო-  
რე ცოლზე იქ ახის კვერცხებს შთამომავლობის შენარჩუ-  
ნების მიზნით-მეთქი. ცოტა ხანში სათქმელი გადავიფიქ-  
რე. ნიშნის მოგება არ მევასება, ჯიბრი და ნიშნის მოგება  
მეჯავრება — ნებავ, სხვაგვ ასე იყოს, პატივცემულნი!

მერე, როგორც იქნა, დათბა. რუსტიკომ კაბელზე გა-  
დაინაცვლა. ცოლები ბუდეში დარჩნენ. შეეფუვნენ რეა-  
ლობას — ბარტყები უპირველეს ყოვლისა!

ხუთი გამიიჩქია. ხუთი დაფრინილი პირი ჩანდა დღი-  
სით, როცა მშობლებს  
ნისკარტით საცვები  
მიჰქონდათ შვილებ-  
თან. იდილია გვგონე-  
ბოდა, მაგრამ თურმე  
ჯერ სადა ხართ!..

ერთ მშვენიერ  
დღეს შიმეცელი ბარ-  
ტყი ვიპოვე ბუდიდან  
გადა მ გ დ ე ბ უ ლ ი,  
მკვდარი, საცოდავი.  
მესამე დღეს მორე  
მკვდარი ბარტყი ვი-  
პოვე, ისიც ბუდიდან  
გამოგდებულა —  
ტიტველი და უსუსუ-  
რი.

მერე რუსტიკოს-  
თან ერთად მისი ცო-  
ლი ვნახე. მორე ცო-  
ლი მას შემდეგ არ გა-  
მოჩენილა. თითქოს  
ძნელი მისახვედრი არ  
უნდა იყოს, ვინ ეისი  
ბარტყი განირო, პა-  
ტივცემულნი.

ოჯახის სიმრთელე  
აღდგა და ძველი წეს-

რიგი დაბრუნდა. რუსტიკომ და მისმა ცოლმა სამი ბარტყი  
გაზარდეს და დააფრთიანეს. მორბილი შვილები კაი  
ხანს მაინც ბუდეში ათუვდნენ ღამეს ბარტყებლით; მერე  
ბუდის შორიხალს სხდებოდნენ: ვინ — სად, ვინ — სად...  
მოსკინტლეს იტაურობა. არცერთს არ მოსვლია აზრად,  
დედ-მამისთვის მიეზაძათ და დასაძინებლად კაბელზე  
დამსხდარიყვნენ.

გადაფრენის დრო რომ დადგა, სეტქმებერში, ოჯახის  
წვერებს მიგრაციის თანმიმდევრობა არ დაურღვევიათ.  
ჯერ დედა და შვილები ნავიდნენ. ერთი კვირა, ცოტა მეტ-  
ხანს, რუსტიკო მარტო იჯდა კაბელზე, თავის სუსტ კლან-  
ჭებს შორის ატარებდა ქართული და უცხოური არხების  
ტელესიგნალებს და ხმას არ იღებდა. უქეიფოდ იყო. დარ-  
წმუნებულად ვარ, უმადობასაც უჩიოდა. ცოტას ჭამდა, აღ-  
ბათ, რადგან გახუთის საფენის გამოცვლა მთელი კვირა  
არ დაჭირვებია. რადგან მამინ სახესობით ნორმალური ვი-



მატარაი ნინო დვალა



ყავი, დავასკენი: რუსტიკო ყველაფერს აუცილებლობიდან გამომდინარე აკეთებს. ახლა ზის და უფდის იმ დროს, როცა აფრიკისკენ მიმავალი ბოლო ქარავანი დაიძრება — მასაციო მუდგევს მებაზორებითა გუნდით... და ეს სოფელი ევროპელები აზის გავლით აფრიკაში გადაფრინდებიან. პასუხის ვეცნა რომ შეუძლია, კეთილად, სად ურჩევნიათ: აქ თუ იქ. აქედან რომ სიცივისა და ზამთარს გაურბიან, ეს ყველა ნორმალურმა ადამიანმა იცის. იქედან რაღას გაურბიან, საკვების ნაკლებობას? ზომ არიან მერცხლები, რომლებიც არსადაც არ მიფრინავენ და მთელი წლის ყველა სეზონს ადგილზე ატარებენ (მაგალითად, ეგვიპტისა და მექსიკის კულმარატლები, ან ინდოელი ვა. ძაფისკუ-და მერცხლები), არც გადაფრინდებიან, არც ეგვიპტისკენ აღდგებიან. ათასობით კილომეტრის დამარებით ბუფერების ასახუნებლად, შთამომავლობის გასაზრდელად არ მიდიან.

რატომ იმდენი მერცხალი არ ცხოვრობს დედამიწაზე, რომ სამშობლოში, თავისი ცხოვრების წირის შესაფერის გარემოში დაეტოოს. რა განსაკუთრებული ფაქტია და მომხდომების მქონეა ეს ჩვენი ევროპელი კულმარატებია, რომ, ეგვიპტელი მერცხლისგან განსხვავებით, ამდენს მოძრაობს გამარჯვების ინსტიქტის მოძალადებისა და ამდენვეს მოძრაობს, ოღონდ უკუმიზარებულთა, იმ გამარჯვების ინსტიქტის მინავლების თანადროულიად გადაფრინის ვადის შესაბამისად; ენციკლოპედიაში წერია, რომ მასობრივი გადაფრინვა სექტემბერში ხდება.

ახლა, როცა ვაგვიდოდ, დავრწმუნდი, რომ გადაფრინის ვადა მუდამ არ არის დაცული და ის არღვევა ბუნებრივი კატასტროფებით, ვულკანური ამოფრქვევებით, მიწისძვრებითა და ადამიანებით. დიახ, ადამიანებიც აწყობენ კატასტროფებს. მსოფლიო ომების დროს მერცხლების მიგრაციის ვადები დაცული ვერ იქნებოდა.

ამიტომ, პატრიცემულინი, ჩემი გოგონა ლოკიიდან გამომდინარე, თქვენი ნებაართვის, ენციკლოპედიამი შესწორება უნდა შევტეხნო. მიგრაციის ვადები ირღვევა კატასტროფებით, ომებით. გადაფრინის ვადები დაცულია მხოლოდ მშვიდობიან პირობებში.

ამ ბოლო წელს რაღაც შეიცვალა. ეს ჩემთვისაა რაღაც, თორემ ჩემი მერცხლების ოჯახისთვის მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. რუსტიკომ ახალგაზრდა ცოლი მოიყვანა — ისეთი ახალგაზრდა და ენერჯიული, რომ... ამ მდებრმა, საქმე საქმეზე რომ მივდა, მისი ნინამორბედი იხე-რა კი არ იბრძოლა თავისი უფლებებისთვის, არც ემშაობა და ვერავინა, ვნებაზე, ნინდამედულბა გამოუჩინა მტკოქესთან შეტოქებისას, პირდაპირ თავგამეტებულად ებღვრა უცხო რუსტიკას, რომელიც ოჯახში შემოჭრას ასევე პირდაპირ, უემშაოკად ამოჭრებდა.

რა იოზე! სულ თავები უხათქუნეს — კაი ხანს შესჭყოლდნენ და ებეთქებოდნენ ერთმანეთს — ფოხის ქნე-თი ძლიერ გაავრდებულ. ამით ხომ კლანჭები და ნისკარტი საბრძოლველად არ უჭარავაი, შუბლებით ესეთქებოდნენ ერთმანეთს ისე, რომ თავების მიჯახების ხმა ხან ბაგა-ბუ-ერთი ისმოდა, ხან — კაკუნით. ტვირის შერყევამდე არაფერი აკლდათ. და ეს მოხდა განა ერთხელ. პირველად ჩემი და ჩაერია ამ ბრძოლაში, ორჯერ — შე. რუსტიკო?

ამ ბრძოლების და აყალმყავლის დროს რუსტიკო შინ არ ყოფილა არცერთხელ. მაგარი ვინმეა რა, ვეცე! წინას-

წარ თანხმა იყო, რომ ვინც გამარჯვებული დახვდებოდა (თუნდაც თავპირდასიებული და დასისხლიანებული) საღამოს შინ, ტელეკანელზე დაუწყებულ, იმასთან ერთად გამობრუნდა მთამომავლობას. ასეთ კონფლიქტებში არც ადრე ჩარეულა, მაგრამ ამ ბოლო წლის ამბავი მათერებს მაინც. იქნებ ასაკი ბრალია. რუსტიკო საკმაოდ ხანდაზმულია — მინიმუმ ექვსი წლისაა. სამუშაოდ მერცხალი ოთხ წელს ცოცხლობს, თუმცა არსებობს დოკუმენტური მონაცემები რვანდალი ჩიჩის არსებობის შესახებაც, მაგრამ ეს გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა გატივებისთვისაც. 2003 წელს რუსტიკო, მინიმუმ, ერთი წლის მაინც იქნებოდა. ეს ნამდვილად ასეა, რადგან ერთ წლამდე ასაკის მერცხალი არ ჰორჩინდება და შთამომავლობას არ იძლევა. კი, ნამდვილად, 2008 წელს რუსტიკო, მინიმუმ, ექვსი წლის გახდა.

მას შემდეგ უცხო რუსტიკა აღარ გამოჩენილა. ოჯახმა ჩვეულებრივ გააგრძელა ცხოვრება. ახლა რომ ვისვენებ, ვასკენი, უცნაურები იყვნენ, რადაცნაირად ყველაფერი ქტარებოდათ: იქით — შვილებს, აქით — მშობლებს. ორი ბარტყი ჰყავდათ, ორივენი დაფრთიანებამდე გადმოცვივდნენ ბუფედან. პანანინა ფრთებს იქნევდნენ და აიენის იატაკზე დაბორიალობდნენ, დასრულებდნენ უნიჭო მოცურავენებით. ხან სახლს გაეკვივებოდნენ, ხან სახლს შეიპოვებოდნენ; ფრთხალები იყვნენ, უსამელოდ შერთხალეები — შრისისა ეშინოდათ და მუცხლებსაც... რუსტიკო და მისი ცოლი კიდევ აქეთ-იქით დაჭრდნენ, ჭყარდნენ და იქაურობას ხმაურით იკლავდნენ; განსაკუთრებით დედა მთქვამდა, ეს რა დაეცმარათა.

რა უნდა გვექნა? ახალი ბუდე მოეუწყეთ. პატარა, ერთი ციფა კალათი რბილი ნაჭერი ჩაეფუტნენ, ბარტყები შევიკალოთ და შიგ ჩავსვით. მაგარი ბუდე გამოვრდა. კაცის სიმაღლეთი შემოვდი — ქერამდე ატანა და იქ მისი დაკიდება დამეზარა. თანაც ასე, ბარტყებზე თვალის შევლებსაც იოლად ვახერხებდი. შტრები იყვნენ და გულუბრწყვლოები; რომ მივიდოდი (მივეპარებოდი, რომ ახალ "ბუდეში" ჩამებედა), მაშინვე თავს ნამოპყვოდნენ, კიერს ნივარტელებდნენ, პირს დააფრედნენ. ეგონათ, დედამ წმურების პაპტიტი მოგვართვაო. რომ დამინახავდნენ, უცხად ჩაეფურცებოდნენ, თავს ბუდის ფსკერამდე დახრდნენ და ნამცვივით მომცროვნი გახვდებოდნენ.

ახალი ბუდის არქიტექტურა ძველს (კლასიკურს) ბევრად ჩამოუვარდებოდა; თუმცა ესეც დანსული იყო, მაგრამ თითონ არ გავლესათ და მხოლოდ საზავებელი ჩეხ-დენციად დაგვადგებოდა. ეც კია, რომ ბარტყნი ამ კალათის საკვამდე მაღალ ჰქონდა და ბარტყები მტკრებ აღარ გადმოცვივნილან. და მაინც, დედამისი, ჩემი ან ჩემი ოჯახის რომელიმე წევრის აივანზე გამოჩენისთანავე, შვილებს გამუდმებით აფრთხილებდა შეხახლით: ფრთხილად, ფრთხილად, ჩაიფურსი, დაიპალეთ!..

თავს მატერებდა, ნერვებს მიშლიდა. ბარტყებს მე რას დაეუშავებდა, მაგრამ დედამისი მაინც იჭაქებოდა: ფრთხილად, მოდის, მოდის, ბავშვები, დაიპალეთ!

აღბათ, ბარტყებსაც ნერვები უშლბოდათ, მობეზრდათ ამდენი ცრუ განცხად, მალე ისნავილად ფრენა, ახალი ბუდე მიატოვეს, ძველში დაბრუნება არც უფიქრიათ, ად-



გენე და ტელეკაბელზე გადაინაცვლეს, დედ-მამას მოსკუმიდან და ცხოვრების ანბანის შესწავლას შეუდგნენ. აქსელერატები იყვნენ. ფრანკ უცვბი ისწავლეს. ყოველთვის ჩაჩარბდნენ, დედას მკვადნენ, ალბათ. ისიც ჩქარა იყო და ფეთიანი. ვისაც არ გახასოვა, პატრიცემწიწლო, მკახხესტო, რომ რუსტიკოს ეს ცოლი ახადგაზრდა და ენერგიულე გახლტოდა. მისი ცოდლია შეიღებო, ზოჯურე, აივინიდან მუშაბანდნი დედამისივით შეობიდიადებოდნენ ხოლმე, მაგრამ, დედისგან განსხვავებით, იქიდან გამომდინარე ველარ ახერხებდნენ; სანამ ფანჯარას გაეუღებდი, მანამდე თავით მინას ეხლებოდნენ, გულისხემქეთი ანუდებოდნენ, ფრხხილებდნენ და ფრთილებდნენ. რუსტიკოს ახალგაზრდა ცოლი ეზობი დამქროდა და, თავისი ტყუით, ეხმარებოდა შეიღებო — ტყუილი და ტყუილი ერთსა და იმავეს: ფრთხილად, მოდის, მოდის, დაჰიამილეთს... თუმცა თვითონ ახალგაზრდა იყო და გამოუცდელი, მაინც ნინასწარმტყველურად გამოუფიდა თავისი მხამალი შეგონებები, უფრო სწორად, ენამ უყვილა. ცოტა ხანში აგვისტოში მართლა მოვიდა, მაგრამ რა მოვიდა.

საქართველოში მტრის გარი შემოვიდა. მაშინ ბევრი თბილისელი გაქცევანუ ფიქრობდა. თუ საშიშროება მართლა არსებობს, ან განსაცდელი ახლოვდება, დარწმუნებული იყავით, რომ ნადირ-ფრინველი კაცზე უფრო ცხოველად გრძნობს ზემოთქმულს და გარბის. ადამიანზე მეტად ადისებს საკუთარ სიცოცხლეს. თვითგადარჩენის ინსტინქტის წყალობით განსაყველზე გარიდებს ასწრებს. ამ აგვისტოში ჩემს მერცხლებს შორის უფროს-სუმცროსობა (მოთუშეტეს, ორგანიზებულიად, მონქნიგებულად მიგრირების ნესები) არავის დაუცავს. არ ყოფილა ისე, რომ ჯერ დედა და შეიღებო ნასულეყენ და მხოლოდ შემდეგ — მამა-მარჩენილი რუსტიკო. დაფეთებულები გადაიკარგნენ. ეს მე მოგვანიებით აღმოვაჩინე. მაშინ ნორმალური ვიყავი და მერცხლებსთვის არ მცხებოდა. იმაზე ფიქრობდი, სამაშაბლოსა და გორის შემდეგ მტერი თბილისსაც დამობიბავდა თუ არა. სწრაფი რეაგირება არ მწევოდა არასდროს. არც ახლა. დაედოდი სამსახურში, ემორბობდი, რადიოტელევიზიას უსმენდი და ვატყობდი, ტყუიდან შემუბამდე არაფერი მაკლდა. ბოლოს მოსახდენი მაინც მოხდა — ბომბები აგვცადა, მაგრამ გავიყვება მაინც არ ახლავდა.

ველოდი. მერცხლები არ ჩანდნენ. მაინც რის იმედი მქონდა? 2006 წელს მეზობლის კატამ შეაბინა რუსტიკოს ოჯახი; კატა სკამზე შეხტა, სკამიდან — ფანჯრის რაფკაზე, რაფკიდან — გამოღებულ საჩქქქის ჩარჩოზე. ბუფენი მოუხლოვდა, მაგრამ ვერ მუხნდა. ვერ შესწნდა, მაგრამ მერცხლები ისე დააფეთა, რომ ხუთიდან: რუსტიკო, ცოლი-მისი და სამი დაუფრთიანებელი შვილი — გადაიკარგნენ. არ ვიცო, ცოლმა და ქმარმა შეიღებო როგორ გახაზნეს. ალბათ მხრებზე შეისვს და მის ნაიყვანს, როგორც თამარაშენიდან, კარაღითიდან და სხვა სოფლებიდან გამოიქცნენ მტრისგან შემზღებელი დევნილები.

მაშინ, 2006 წლის აგვისტოს ბოლოს რუსტიკო დამბრუნდა. მარტო დაბრუნდა. იჯდა თავის ადგილზე კუშტი, მდურდა, მაგრამ მაინც ჩემი გამაზრებელი. რატომ მიხაბდა? იმიტომ მიხაბოდა, დარწმუნებული ვიყავი (მაშინ ნორმალური ვიყავი და დარწმუნებული იმიტომ ვიყავი), რომ რადგან რუსტიკო კაბელზე ზის, ბუფენს დარაჯობს

და გადაფრენისათვის ეშაბდება, უეჭველია, ამ მდუმარების დროს სრულ თანხმობაში ადგილის დედასთან, იმას-სოფრებს აქუორბობს, ჩემს სახლს, აივინს, მოსასვლელ გზას, რომ შემდეგი წლის გაზაფხულზე, აფრიკიდან ჩამოსულმა, ბუფენს შეუცდომლად მოაგონოს.

აკი მოაგონ კიდევ! 2007 წელს აკი მართლა ჩამოვიდა აფრიკიდან. მეც გამახარა, ოჯახიც გაიჩინა, შეიღებიც დააფრთიანა...

წელსაც აგვისტოში ველოდი გადაიკარგულს. დღეს არა, ხვალ მოვა-მეთქი, ხვალ არა, ზეგ დამხებებო, საღამოს წინ რომ მივიღ-მეთქი. არა და. აგვისტო მიიღია — არ გამორჩენილა. მერე გადაფრენის დრო დადგა და, თავისთავად ცხადია, მერცხლას ჩულურეთში რაღა ენდომებოდა.

გავაგიფებოდი, აბა, რა იქნებოდა? რამდენი ბუფენი აინგრა სამაშაბლოში. ვიღა დაბრუნდება იქ. სადღაა მერცხლის ბუფის ასაშენებელი ადგილები ქართულ სოფლებში. იმ ადგილს ხომ სოფელი აღარ ჰქვია. არადა, Hirundo Rustica ხომ სოფლის მერცხალია. იმას ქალაქში ცხოვრებაზე უფრო ცხვები ცხოვრება მოუხდებოდა. რუსტიკოებს ხომ ადამიანის სიახლოვეს დაბუფება სწყევთია: სახლში, საბძებლში, ბოსსულში, წელა მოძრავ მატარებელშიც კი...

მატარებელში რომ მერცხალი ბუფეს დაიგება, ერთობ უცნაური, მაგრამ ისეც მომხდარა თურმე. მე რომ ნორმალური ვიყო, ვიტყვოდი: ეს მაშინ იქნებოდა შესაბამებელი, თუ სადმე, რკინიგზის ჩინიში დიდი ხნით დაყენებულ, უკმადა მდგარ ვაგონში მერცხლები ბუფეს აიბენებდნენ. მერე ვილაცას ეს მიტოვებული ვაგონი გაახსენებოდა, ვარკისად სცნობდა, მატარებლის შემადგენლობაში ჩააბამდა და ჰაიდაა... მერცხლები თავის ბუფიანად, კვერცხებთანად თუ ბარტყებთანად, უნებურად იწყებდნენ მოგზაურობას. კი, თავიდან გაოგნებულნი და შემინებულნიც იქნებოდნენ, მაგრამ ყოველივე ამას შეეგუებოდნენ, თუ მატარებელი ჩქარა არ იმოძრაებდა.

ჰო, ამგვარად განსჯიდი, საღ აზრზე რომ დაფრინელიყავი. მაგრამ აგვისტოში გავაგიფე და ახლა, როცა ამ ყველაფრის იანერში ყვეები, მგონია, მატარებელი (წელა მოძრავ მატარებელი) სახლდებოდნენ განსაკუთრებულე ხასიათის, მხებტილედ ბუფენის მერცხლები, რომ-ბუფეც მოშებოვით გადამადგოდებოდნენ ერთი ქალაქიდან მეორეში, ზა და ზა მრავალდებოდნენ, ზრადებოდათ, გვიხ აფრიკისკენ ავილო. ასეთი მუდამ მიგრანტი რუსტიკოები არ მინახავს, მაგრამ ვარცხელულად ისინიც ვერკოლი კულმარკოვლები იქნებოდნენ. მინაგანად კიდევ მათ ბუფენას ვინ გამოიკვლავდა. ეგ ყველაფერი ხომ ადრე იყო, როცა მატარებლები წელა მოძრაობდნენ. ახლა მატარებლები ჩქარა მოძრაობენ, ადამიანები ფრინველებზე უფრო სწრაფად დაფრინავენ — ერთი კონტინენტებიდან მეორეზე ისე გადაფრინდებიან, ზურგის ქარს არც ელოდებიან.

მერცხლები, საშუალოდ, ოთხ წელიწადს ცოცხლობენ; საშუალოდ, ოთხჯერ მიგრინავენ აფრიკაში, მაგრამ ამდენჯერვე უკან ვერ ბრუნდებიან. რუსტიკო შეიღებდა მამაში, მაგრამ მინიშნულე ქვესი წლისაა. შესაძლოა, 2008 წელი აფრიკაში გადაფრენის ბოლო წელი იყოს მისთვის.



— რომანის გმირი იმ უარყოფითად გამოყენებული ნიქის გარდა ამტკიცებს ქართველ კაცის კარგ თვისებებსაც: სილალეს, დაუფრომლობას, სიტყვის ფასს, მეგობრობას, ზოგჯერ დაუდევრობასაც. ეს არის ძალიან სადა, მეტაფორებისგან განტვირთული რომანი და, ამავე დროს, ძალიან მრავალფეროვანი. დოკუმენტური და სა-არქივო მასალაზე მუშაობის დროს მწერალი საფრთხის წინაშე იდგა, თხრობისას ფაქტებს არ ემძლავრა და ამით მოსაწყენი არ გამხდარიყო ნაწარმოები. ავტორმა ამ პრობლემასაც სანმატებით გაართვა თავი. რომანის მონაკვეთთა მარჯვად დასათაურება არის ინტრიგა, რომელიც თავიდანვე ახდენს მკითხველის პროვოცირებას.

სოლომონ ამორდიას ნაშრომად არის მიკარგული ნაწარმოების პერსონაჟი, თვით რომანს კი მხოლოდ მიკარგული ჟანრის ქმნილებად ვერ მოიხსენიებთ. მასში უამრავი ჟანრის თვისებები იყრის თავს. რომანს გამორჩეულობას ჰმპატებს დაუფარავად აღწერილი იმ ეპოქის წინამდებელი. ჩვენი ქვეყნის უბედურება გამოიხატა იმით, რომ სამშობლოს სახელწოდება უნებურად გამოდგა ზუსტ პალინდრომად („არიფი ივერია“), რომელმაც ორი სიტყვით დაახასიათა ეპოქა.

**წუთები და წლები**

ნომრეგან არაბული

**ივანე ჯავახიშვილი და „ჩვეულებრივი მკითხველი“**

„ეგა, საქართველოს ისტორიის მამაა!“ — ბრძანა მსოფლიოში პროფესორმა სერჯი მაკალათიამ და თავისი მანაქვეყნისკენ მიგვიბრუნა — ივანე ჯავახიშვილის საკმაოდ მოზრდილ, შავ ჩაჩოში ჩასმული სურათისკენ, ისტორიის კათედრას რომ ამშვენებდა. ასე დანახო მან პირველკურსელებთან თავისი პირველი ლექცია საქართველოს ისტორიაში და ასე შეგვისხანა ჩვენი ერის წარსულის ფართო კარბზე. ვისაც ამ კარბების ზღურბლი გადაუღლებავს, სამუდამოდ დაემგზავრება ის „თანამდევრი, უკედავი სული“, რომელიც შთამომავლობამ შეამკა აღსაზურველი ეპითეტით — დიდი.

ამჯერად გვიჩვენა მკითხველის ყურადღება მთავაროთ ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი თავისივე წიგნების წინასიტყვაობებისკენ. ეს არ არის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელო და მინც... არის იქ რამდენიმე ისეთი ნიუანსი, რომელიც ყურადღების მიღმა დასატყვევლად ცოცხავა; არადა, სხვაგანაც თითქოს არსად გადაეწყდომივართ.

ვინ არ გაუოცებია ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ კეთილსინდისიერებასა და გულისხმიერ დამოკიდებულებას მკვლევართა, დოკუმენტთა და ა.შ. მიმართ, მაგრამ სულ სხვაა მისი დამოკიდებულება „ჩვეულებრივი მკითხველისადმი“ ამ მხრივ იქნებ იმიჯითა გამოიხატოს კი იყოს მეცნიერ ისტორიკოსთა შორის.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი „მკითხველში“ საკითხით დაინტერესებულ მკითხველ-ისტორიკოსსაც გულისხმობს და არასეციალისტ, ე.ი. „ჩვეულებრივი მკითხველსაც“, მაგრამ უპირატესად ამ უკანასკნელის მიმართაა აქცენტირებული და ჩვენი ყურადღების საგანიც სწორედ ეს გაერეობაა.

მივევთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: ჯერ კიდევ 1908 წელს დაწერილ „პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში“ (აქაც და სხვაგანაც „ქართველი ერის ისტორიის“ თოხნივანული იველისხმება) ნუხდა ავტორია: „რაკი „ისტორია“ ქართველ მკითხველ საზოგადოებისათ-



ვის უნდა ყოფილიყო დაწერილი და მარტოოდენ მეცნიერებისათვის არა ყოფილა განკუთვნილი, ისე უნდა დამუშავდეს, რომ წერილში და დაწერილობით დასახლებებში წიგნის კითხვა მეტად არ გამოქმედდეს; მაგრამ სასწრაფოდ ამ მოთხოვნების შესრულება ყველგან და ყოველთვის არ შეიძლება..."

ღიახე, არცერთი მკვლევარი არაა ორიენტირებული მხოლოდ „ნაფიც“ მეცნიერთა მიზარ, ყოველ შემთხვევაში, სასურველია, ასე იყოს, მაგრამ როცა საქმე ეხება ერს და მის ისტორიას და ლიტერატურას, ყველას როდესაც მხედველობაში ის საზოგადოება, ვისაც მეცნიერული საჭურველი არ გააჩნია. ივანე ჯავახიშვილი კი ერის ისტორიას ერისთვის წერდა. წერდა განურჩევლად ყველასათვის, ყოველ შემთხვევაში, ძალიან უფიქრობდა გასაცნობდა ყოფილიყო წიგნის კითხვისუნარიანობის (ამაში ქვემოთაც დავერწმუნდებით) და თუ ხანდახან მეცნიერული აზარტი შორეული სიღრმეებისაკენ გაიტაცებდა, ამაზეც გული თანაზარტობდა.

გასაცნობა ავტორის ნუხილიც, „წერილში და დაწერილობა“ დასახლებებს რომ ვერ აუარა გვერდი, ამის მიზეზსაც იქვე ხსნის, მაგრამ საინტერესო აქ ისაა, თუ რა-ნაირი და როგორი სულისკეთებაა ჰქონდა დიდ მამულითვის, როცა ამ საშვილიშვილო საქმეს მოჰკიდა ხელი.

გამოხდა ხანი და აგერ უკვე 1913 წელს „მეორე გამოცემის წინასიტყვაობაშიც“ არ განვლდება თავისი სურვილი და წყურვილი კვლევა-ძიების მორევში შესული მეცნიერს: „მე მინდოდა მკითხველი თანამოზიარედ გაეხედა, რომ მას თითონაც ეგებნა ის გონებრივი სიამოვნება, რომელსაც მეცნიერი ისტორიკოსი ჰგრძნობს საისტორიო წყაროების შესწავლისა და კვლევა-ძიების დროს“.

ხუთი წლის წინ ამბობდა — „ისტორია“ ასე და ასე „უნდა ყოფილიყო“ დაწერილი, ახლა - „მე მინდოდა“... რაღა ანავადებს, გულს რაღა სტყენს, თუ უქმარისობის გრძნობა ასდებობია? წლები გასულა, მაგრამ ეს გრძნობა არ განვლდება (ენახოთ, იქნებ გაუნფლდეს კიდევ...) და ფოლკანტ-პერეგამენტებში ჩაფლული მკვლევარი, ათასგვარი თავსატეხი რომ გასჩენია, მკითხველისათვის გასაცნობა ენაზე დაწერილი სურვილს აღარ სჯერდება. ახლა მეცნიერს „ჩვეულებრივი“ მკითხველი ის „გონებრივი სიამოვნების“ ქვეყანაში მიპატივება განუზრახავს, სადაც თითოეულ დასახლებულს:

რაღა ზე არ ფიქრობენ დიდი მამულიშვილები...

აქ (და ეგებ სხვაგანაც) კომენტარი იქნებ ზედმეტყვიანა, მაგრამ საველისხმო ისაა, რომ თავისი ნაშრომ-ნაღვლის შემოწმების „რეკლამაც“ თითონვე გვთავაზობს: „მკითხველს რომ ყოველს წაშს შეძლება ჰქონოდა თვითონაც შეესწავლა რომელიმე საკითხი, თითოეულის ჩემის ცნობის და დასკვნის სიმართლის დახამტკიცებელი წყაროები დასახლებული მაქვს. ვინც მოინდომებს, გადამღის აღნიშნულ წყაროებს და თავის თვალთ და ჩაკვირვებით დაწრმუნდება, სცდება, თუ მართალია ამ წიგნის დაწერა“.

უ.ი. წყაროების მითითება, გარდა იმისა, რომ მეცნიერებაში მიღებული წესია, მკითხველის „აპირების“ მცდელობაცაა ისტორიის ქარბორბალაში. მეცნიერს უშუალოდ

შეუკრავს, რომ გამოკვლევის სპეციფიკის გამო მისი წიგნები იოლად წასაკითხნი ვერ იქნებოან; არადა „განზრახ გამოარტივებასაც“ შორიდებოა.

„ისტორია რთული მეცნიერება არის. იგი არას დროს გასართობ წიგნად არ გამოდგება და ყოველთვის შესწავლისა და ღრმად დაკვირვების საგნად უნდა იყოს“, — გვარჩება „ქართული ერის ისტორიის“ ავტორი და ვეგნუგეშებს, რომ არც მეცნიერთა „სათვისტომოს“ გარეთ მდგომი მკითხველები დარჩენილა ყურადღების გარეშე: „სკოლებში სახმარებლად და ხალხისათვის საკითხავად იქმნება განსაკუთრებული გამოცემა“.

უნდა ვივარუდოთ, რომ ამ წინაფიქრის განსახორციელებლად ივანე ჯავახიშვილმა ველარ მოიკალა.

კიდევ დახედა ხანი, ამხერხად უფრო ანგარიშგასანევი, მიუღო თბომეტი წვლიანად (ჯამში — ოცი), მაგრამ კვლავ იმისი გულისტკივილი აქვს, რომ ისტორიული წყაროების შუფასება-გადაფასების პროცესმა „ისედაც ძნელად წასაკითხი წიგნი მეტისმეტად დატვირთა და მას საისტორიო გამოკვლევის სახაითი მიანიჭა“.

აქ იმდენი გულისხმიერებაა, რომ ფრანზის დასასრული, ცოტა არ იყოს, უცნაურადღე კი გვეჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ კვლავ „ჩვეულებრივი მკითხველთათვის“ სწავს ავტორი, თორემ მეცნიერისათვის მისი დარღვის ნებისმიერი ლიტერატურა რატომ უნდა იყოს „ძნელად წასაკითხი“?!

საკუთარ მოზიციას მაინც ამართლებს და იქვე იძლევა მეცნიერული ეთიკის ქვაკუთხედს: „ადვილად წასაკითხი და ლამაზი დაუსახლებელი თეორიებისა და დებულებების ნაშთივებებს, ვფიქრობ, რომ ყოველმხრედ დასახლებული ისტორიის წერა სჯობია. მეცნიერ ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის წუნოერივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას პარავს თავისი დაუსახლებული ჰპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოადგინოს“.

ისევე არ აივნფდება მკვლევარს მკითხველი საზოგადოების გემოვნება და განწყობა და გამოსავალსაც თვითონვე სთავაზობს: „ეს წიგნი რომ არასპეციალისტებისთვისაც მაინც მისანდომი ყოფილიყო, ყველა ასეთი წყაროების მიმოხილვა და მათი კრიტიკა ცალკე პარაგრაფებდა მაქვს გამოყოფილი და მკითხველს სურვილისამებრ შეუძლია, კითხვის დროს მისი პარავრათები (მითითებულია ნ.ა.) გამოსტოვოს. მომავალში კი ამ ისტორიის დამთავრების შემდგომ, ამაზე დამყარებული საქართველოს ისტორიის ზოგადი ურსის გამოცემაც მაქვს განზრახული...“

ისევე და ისე ფიქრი და ზრუნვა „ჩვეულებრივი მკითხველისათვის“, ჰქონდა განსვენებულ მკვლევარს ამის ნება და მოვალეობა, რადგან კარგად იცოდა, რომ ობიექტურ ანალიზში გამოტარებულ საკუთარ ისტორიას მისი მშობელი ერი დიდხანს ელოდა და, როცა მისი თხზულებების ბუდევა დაიწყო, მონობის მარწმუნებში მოქცეული საზოგადოება უნდა მისი ამ თვანკარა მდინარეს მწყურვალეით დაენახა.

ივანე და წერდა და სჯიდა და ფიქრობდა „საქართველოს ისტორიის მამა“.


მართლაცდა რაღა ზე არ ფიქრობენ მამულიშვილები!



ვახტანგ დავითაია

# „ყოფითი“ ელგუჯა ამაშუკელი

ხელოვანის სიდიდის დადგენის ჩემეული საზომი მაქვს. გონებაში, საერთო კულტურის საგანძურადან ამოვიღებ მის ნამოღვაწარს და ასე შევხედავ სამყაროს. მოდით, ერთი წლით წარმოვიდგინოთ: არ არსებობენ ქართლის დედა და ვახტანგ გორგასალი, ფარნავაზი, „ვეფხვი და მოყმე“, ფიროსმანი თბილისში, „კოლხეთის დედა“, მეზღვავურთა მემორიალი და ცოტნე დადიანის ძეგლი ფოთში, გორის „შხეჭხუკი“, დავით აღმაშენებელი ქუთაისში — ხომ გაღარბდა სამყარო? ზემოხსენებულნი და სხვა მრავალიც, ყველასათვის ხილული სამყაროა ელგუჯასი, მაგრამ არსებობს არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა სამყაროც, რომელიც ყველასათვის არ არის ცნობილი. ესაა მცირე და დეკორატიული ქანდაკებები, ფერწერა, გრაფიკა, პუბლიცისტური მემკვიდრეობა.



არ ვაპირებ ელგუჯას შემოქმედების ანალიზს, ვინაიდან მეც ამ მორცხვის მონაწილე, მისი თითქმის ყველა მონუმენტის, მემორიალის თუ ბიუსტის თანაავტორი ვარ და, ვახტანგის ვიკია, არ შეიძლება ვიყო ობიექტური მსაჯული. ერთს კი ვიტყვი, მისი კვალი საკაცობრიო კულტურაში აღიბეჭდა არა დათოვლილ მინდორზე, არამედ მაღალი მდგრადობის ბეტონზე, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს.

საოცრად ამაყი ვიყავი, როდესაც სრულიად ახალგაზრდა არქიტექტორს, ასევე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელოვნამო მოქანდაკემ, რუსთაველის პრემიის პირველმა ლაურეატმა, გორგასალის ავტორმა ელგუჯა ამაშუკელმა შემომთავაზა ვყოფილიყავი ფოთის „კოლხეთის დედის“ მონუმენტის არქიტექტორი. მას შემდეგ, თითქმის 40 წელი, ყოველდღიურობით ვიყავით ერთმანეთთან დაკავშირებული. ამიტომ მე კარგად ვიცნობ არა მხოლოდ შემოქმედ, არამედ „ყოფით“ ელგუჯა ამაშუკელს და ამაზე მინდა ვისაუბრო.

ელგუჯა არასოდეს არ ქმნიდა დამცველ გარსს, ხელოვნურ დისტანციას საკუთარი სიდიდისა და მნიშვნელობის წარმოსაჩენად, იყო უზრალო, კომუნიკატიული, ხელმისაწვდომი.

დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა კარგის დანახვა, მცირედი სიკეთისთვის არ დაიშურებდა საქება რ სიტყვებს.

შესანიშნავად იცოდა მსოფლიო ხელოვნების გამოცდილება, მაგრამ როგორც ჭეშმარიტ ნიჭს შეეფერება, მთელს ეს გამოცდილება მისთვის მხოლოდ „ინფორმაცია“ იყო და არა მისი შემოქმედების ამოსავალი.

პარმონიულად იყო შერწყმული გონება და ემოცია, რაციონალური და ირაციონალური, ლოგიკური და გრძნობადი.

მოკლებული იყო ადამიანთა მოდგმის ისეთ თვისებებს როგორცაა შური და სიძულვილი, ყველაზე მძაფრი გამოხატულება უარყოფითი ემოციისა იყო ფრანა: „რას იხამ, ადამიანო“.

იყო კარგი მოსაზრებ, პოლემისტი, მაგრამ იცოდა მისმენაც.

შესანიშნავად უკრავდა ვიტარახე.

იყო ბრწყინვალე თამადა, შექმნილი თამადობის „ანკობა“ სუფრის ყოველგვარ კონტინგენტზე, იმდენად ვარდებიქნებოდა, როგორც სუფრა იყო, არ ცდილობდა დაეთრგუნა სხვა თვისი ინტელექტი.

შეონდა ხელოვანისთვის უჩვეულო თვითდისციპლინა, იყო საოცრად ზუსტი, რამაც მეც არ ჩამოვყვარდებოდი. დათქმულ დროზე 2-3 წუთით ადრე ან გვიან მისვლაზე ხან ის, ხან მე „სასვედე დროს“ ერთმანეთს — „რატომ არ უფრთხილდები დროს“?

მობაძვის, იმიტაციის, გარდასახვის საოცარი ნიჭი ჰქონდა, მისი „გმირების“ გალერეა ძალიან ფართე იყო, სამურწერო და პარტული ხელმძღვანელებიდან კოლეგა-მხატვრებამდე, ამსტავსედა არა მხოლოდ ხმას, ინტონაციას, კოლოს, მიმოცას, არამედ საფუძვლიანად ხსნიდა მობაძვის ობიექტის ინტელექტუალურ სამყაროს.

თავის დათქმულს ყოველთვის ამბობდა ცხადად, ლაკონურად და პირუთენილად, მაგრამ ისეთი ფორმით, რომ ნათქვამს არ ჰქონდა მეორე მხარის „თავის რჯულზე მოქცევის“ მიზანი, ამიტომაც მისი პირუთენილება არასდროს არ იხვევს კონფლიქტს.

ვურეკავ, მინდა დავაზუსტო, რომელ საათზე უნდა ავიდეთ სახელოსნოს მშენებლობაზე. „შორში, მე იქ ფეხს არ დავადგამ, ჩავაბარებ ქალავა, ვილა-ვილა ცემა ქალაქში ხმებს აერცვლებენ, ამაშუკელმა სპეციალურად მთამინდის ფერდობი აიჩინა სახელოსნოსათვისო“. ეს იყო და ეს, მართლაც არ დაუდგამს იქ ფეხი.

მოხდა ისე, რომ ელგუჯამ თბილისის „დინამოს“ რამდენიმე ანგარიში გამოიცოცა ზღედიზე, პურმარტილიც მოიგო და გულშემატკივართა წრეში ნათელმოხლეულის სახელიც დაიგდო. მოვიყვანებთ მეც „დავრწმუნდი“ მის გულთმისნობაში. ეს კი ასე მოხდა. ამ ოცდაათიოდე წლის წინანთ ერთ რაიონში მივცინივის ძველის თამაზე. ვახაუ-



ხულია, ადრე ავდექით და ვაგონის ფანჯრიდან ვათვალი-  
ერებთ ბუნებას. ვაგონის მეორე თავში ორი კაცი დგას —  
მაღალი, გამზდარი და დაბალი, ჩასუქებული. ელგუჯა  
ხშირ-ხშირად იხედება მათკენ. ნაცრობია? ეკითხები,  
"არა მგერამ... მომკალი, თუ ეს კაცი ქარქაშაზე არ იყოს  
გვარად". დავაკვირდი, რაღაცით კი ჰგავს ქარქაშს, მაგ-  
რამ ეს ხომ საკმარისი არ არის. დავათვალიერებთ ძეგლის-  
თვის მიწინსული ადგილი, შემდეგ სადილი, მასპინძლებ-  
თან ერთად ვდგავართ რესტორნის წინ, გვაცილებენ. სად  
იყო და სად არა, ერთი კაცი შემოგვიერთდა. სუფრის თა-  
მადა ამბობს, გაიცანით ჩემი ძმა გიორგი ქარქაშაძე, ამ  
დღილი ჩამოვიდა თბილისიდანო. ხელში სწორედ ის "ქარ-  
ქაშაძე" შემოგვრჩა, დღილი ვაგონში რომ "გავიცანით".  
ჩვენი ისტორიული სიცილი გაუგებარი იყო მასპინძლები-  
სათვის.

საყოველთაოდ ცნობილია ელგუჯას ფუნჯაორები,  
მინიშნება ისეთი გამჭვირვალაა, რომ სრულიადაც არ  
არის საჭირო ადრესატის სახელისა და ვაგონის მოხსენიე-  
ბა.

როდესაც წმ ნელი შემისრულდა, კოლეგებმა მილოც-  
ვის ორგანიზალური ფორმა მოძებნეს, მიგზავნიდნენ დემე-  
შებს, ტექსტებს ნამდვილ ბლანკზე.

ასე მივიღე მილოცვის დემემები კორბუზიესგან, რაი-  
ტისგან, კენძო ტანგესგან, სოფი ლორენისგან, ჯინა ლო-  
ლობრიჯიძისგან, პიკასოსგან, შავალისგან, ბრეტენევის-  
გან, მგავანაძეშგან, დურეტისგან, ბერისაგან, სტალინისგა-  
ნაც კი.

ელგუჯა აზარტით ჩაერთო ამ თამაშში. ყოველ ნახე-  
ვარ საათში რეკავდა საპროექტოში და ახალ-ახალ დემე-  
შებს კარნაობდა მდივანს, რა თქმა უნდა ლექსად. მდივა-  
ნი მანქანაზე ბეჭდავდა, ჭრიდა ზოდებად, ანებებდა  
ბლანკზე და მე ვადმომცემდა. ათამდე დემეშმა მივიღე ელ-  
გუჯასგან ორ დღეში, მიწანერით: ტელეფონისტი ე. ამა-  
შუკელი, დემემები კი იყო კონსტანტინე გამსახურდიას-  
გან, ბელა აბმაღულიანისგან, ჰაინრიხ ბილისგან, ირაკ-  
ლი ციციშვილისგან... ყველაზე მეტი დემეშმა გამოავაზე-  
ნინა ზურაბ ნერეთელს. აი, ზურაბერთი მათგანი, როგორ  
ჩანს თვითულის პიროვნება, ხასიათი.

ლაკონური დემემები:

- ერთად მუშაობას ვუკელით,  
მოკითხვით ამაშუკელი.
- არ გვაწონო შენი ტლიო,  
შენი ტლიო.

("ტლიო" — არქიტექტორი ტონი კალანდარიშვილი)

— ჯემალ გავიგე შენცა გყავს მტრები,  
ღმერთო, მომკალი, რა უყავ თმები?

— დაფასდები რაც დრო გავა,  
ნორიკო უკროკავა.

დემეშმა კონსტანტინე გამსახურდიასგან.

— მე შენს გამო თომას მანათნ  
მქონდა კონფლიქტი,

შენრიხ ბილიე შემომვლახა,  
ალბათ მიხვდები ვახტანგ ჩემო  
მიზეხს კონფლიქტის,  
კოლხური კომკი და მარუხი  
მათ არ ენახათ.

კონსტანტინე  
("მარუხი" — მეგობრალი მარუხის უღლებილზე).

ძალიან "გაინავარდა" ზურაბ ნერეთელის დემემებზე.  
მისგან ექვსი თუ შვიდი დემეშმა მივიღე. დავაკვირდი ზე-  
რას მასშტაბებს.

— ხიზინის მთებში ჩავიფიქრე ერთი გვირაბი,  
იქიდან მინდა მადგასკარს მოვუხიზინო,  
არ ვარცა კაცი მხოლოდ ზემოთ მოვღანეობდეს,  
ხანდახან თავი მინისქვევაც გამოვჩინო!  
მოვარეზე მისვლის, მისი მოხატვის  
სურვილი ჩემი ძალზე დიდია.  
შვეს ჯერჯერობით არ შევევები  
რიდი მისდამი ერთობ დიდია.

შენი ზურა. ტელეფონისტი ე. ამაშუკელი.

— ბრუკლინის ხიდის დემონტაჟი დაწყებულ მაქვს,  
ძველ სენაკიდან ვაშინგტონზე უნდა გაეჭიო,  
არ მოიხრა ახლა ჯემალ ჩემო, რისთვის? რათ გინდა?  
ინტუიცია ამეკარანხებს, არის საჭირო.

შენი ზურა. ტელეფონისტი ე. ამაშუკელი.

— დღეს დავარწმუნე დილი ლიონია.  
მავხოლეუმი ცოტა დიდია.  
უნდა ჩამოხსნა კრემლის ზარები,  
ამდენ ხანს მკონც ტყველა კიდა,  
რაც შეეხება მომავლის გვეგმებს —  
ინგლისის ახლოს თავს უყურე გემებს.  
დაწარჩენს მალე შევატყობინებ, მოკითხვა თქვენებს.

შენი ზურა. ტელეფონისტი ე. ამაშუკელი.

ავად გავხდი, ვერ დამიგდეს სიხვე, რამდენი ექიმიც  
მოვიდა, ყველამ თავისი ნაშაბო გამომიწერა, გავსივდი...  
სიციხე კი არ მიკლებს. სახლურგარეთ მივლინებიდან ჩა-  
მოვიდა და პირდაპირ საავადმყოფოში მოვიდა ჩვენი მე-  
გობარი და ნათესავი კარდმოლოგი ირაკლი მეგრელაძე,  
ხედავს, ცუდადაა საქმე, გადაათვალიერა ნამლები, ყვე-  
ლა ჩაყარა ცელოფნის პარკში და მოისროლა ფანჯრიდან,  
ორ დღეში კარგად იქნებოი, ასეც მოხდა. წინა დღით კი  
მინახულეს ლიამ და ელგუჯამ, გაკვირებული მიყურებენ  
ფორმადაკარგულს, ელგუჯამ მომიარჯვა კალამი და გა-  
მოაცხო ლექსი:

როცა ძველ სენაკს ვუთხარ ნახვამდის,  
ვიყავ ჯემალი, გავხდი ვახტანგი.  
ეხლა ვაარკი წინ ვდგავარ და კუ-კუ,  
უყურებ ვახტანგს, მიყურებს ჭუ-კუ.

განგებამ ელგუჯა დიდი საქმეებისთვის მოაგლინა,  
მან ეს მისია პირნათლად შეასრულა.



სალომე კაპანაძე

# „ქებელი ყველასათვის“ — პრის ღრამატული დღეება

მწერალი ეპოქის მიმდებარე ხედვებს ყველაზე უფრო ითავი-სებს. თუკი იგი ნამდვილი შემოქმედია, ყველათვის ატარებს იმ მუხტს, რომელიც მას ინსტიტუციურად ემაჩრება არამარტო თანამედროვეობის ობიექტურ მუხტსაგან, არამედ მომავლის პროგნოზულ განჭვრეტამაც. ინსტიტუცია ძირითადი სტრუქტურული ნიშანია მწერლის ცნობიერებისა და ალბათ მისი ტრადიციული ხედვრიც. შეფარული ჭეშმარიტების გა-საგნება და ერის სასიცოცხლო ორიენტაციების ძიება ყოველთვის იყო და იქნება ქართული მწერლობისათვის ნაყენებული უპირობო მოთხოვნა. ეს ტრადიციაა, რომელიც ჩვენმა ისტორიულმა ყოფამ დაამკვიდრა. როდესაც ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცვლილებებს ერის მსოფლმხედველობრივი და ფსიქოლოგიური ცვლილება მოჰყვება, მწერალმა თავის დაეთარძო უნდა მონიშნოს ადამიანის სულის თითოეული გაჭირვლება თანდაც იმიტომ, რომ ერს ხსნის სწორი გზა მოაქვნიანოს.

ზაურ კალანდია რომანი „ქებელი ყველასათვის“ ქართული მწერლობისათვის საჭირო ყველა სასიცოცხლო მოთხოვნა ატარებს. სხვანაირად მისი მსოფლმხედველი ვერ გაივლიდა იმ ბუნების ხიდზე, რომელზედაც ვაგლის მოთხოვნა მას მწერლის შემოქმედებულ მორალურ-სტრუქტურულსა და სინარაჟის გამო უნდებდა. მკითხველი მზად არის აღიაროს უმცირესი შეცდომაც კი, რომელიც ქვეყნის წინაშე ოდესმე მოსვლია. რომანის კითხვისას იგი მწერალთან ერთად ხედავს ყველაფერს, ზოგჯერ თვითონაც ეშინია იმისა, რასაც ხედავს, მაგრამ მაინც სიამოვნებს ეს მტანჯველი განცდა, გამწვანო იმ მთავარის მოლოდინში, რომელიც აღსარების ნეტარებას უკავშირდება და რომელსაც რომანის ბოლომდე ჩაკითხვისას იგრძნობ. ტკიული მაინც უფრო ღრმა განცდა ყოფილა, ვიდრე ნეტარება. მით უფრო, როცა ეს ტკიული მუნს ერს, ქვეყანას უკავშირდება. მწერლის სულს ჩაბლაუჭებული ეს გრძნობა ყველაზე ძლიერია. მასში ძალიან მსუბუქად თავსდება ყველაფერი ის, რომელსაც ჭეშმარიტებასთან მიახლოების ყველაზე მეტი შესაძლებლობები აქვს.

ზაურ კალანდია მართლაც კარგი მწერალია, რადგან შესწევს უნარი, იყოს შინაგანად მართალი იმ მოუღონების მიმართ, რომელსაც XX საუკუნის დასასრულს საქართველო, ქართველი ერი პოლიტიკური და ზნეობრივი დილემის წინაშე დააყენა.

მისი რომანი „ქებელი ყველასათვის“ არის ამ პერიოდის ქართული სინამდვილეზე შექმნილი უზარმაზარი პანი თავისი მონატურული ფრაგმენტებით, სასოწარკვეთისა და მზნეობის, საიმისა და ტანჯვის მორიადი შგვრძნებით, ობიექტური დაკვირვით, რომელიც ღრმა სინარაჟისა და ფორმის სრულყოფის გამო ერთ მთლიანობაში იკითხება. „ვერავინ აღწერს ცხოვრებას ცხოვრებაზე უკეთ, — თვლიდა ფან ფაე რუსო, ყველაზე გულახდილი ხალხი განსაკუთრე-

ბით მართალია მაშინ, როცა ლაპარაკობს, მაგრამ ცრუობს, როცა რუმუდება“.

ეს სწორედ ის სიწუშეა, რომელიც ყველაზე მეტად მწერალს არ მიეტყვება, არ მიეცემა ისიც, თუ მხოლოდ ვარდისფერ სათვალეს მოარგებს თავის მზერას, ან გენიალურ ნოზელსაც გარსია მარცხით არ განაცხადებს, მინდა ვემსახურო სამშობლოს და არა ჩემი სამშობლოს მთავრობას. ამიტომაც ისმის ზაურ კალანდიას რომანის შეკრული სივრცეიდან განცხადის ზარების რეკვა, რათა ერისთვის თავს დატეხილი კრიზისული დროის ძლევის პირობები გადალახოს.

ქართველი ერისთვის ახალი ფსიქოლოგიური შტორების წარმოქმნისას ზაურ კალანდიას, როგორც მწერლის მიზანი აქვარა — ამ მრავალმომქმედებანიან დრამამ საზოგადოებრივი აზრისა და განწყობილების კათარზის უნდა გამოიწვიოს. რომანის საკითხისთანავე გემოვნებთან მკითხველს სრულიად განსხვავებული წარმოდგენა უყალიბდება ჩვენს სულიერ ყოფაზე და სინამდვილის მძაფრი განცდით უზარმაზარ სინამდვილეს. ამასთან, რომანის კითხვისას არ გრძნობს ხელგონურობასა და ფორმის არაბუნებრივობას. პირიქით, თითოეულ პერსონაჟში საკუთარი ალტერ ეგოს კონტრუბსაც კი ღწნადვს. მე-20 საუკუნის დასასრულს კონფორმისმისა და პროტესტანტობის ძლიერმა ტალღამ აღამიანები შეუნყარებლები გაბადა ერთმანეთის მიმართ. საბჭოთა სისტემის რღვევისთანავე საკუთარი პიროვნული და ზნეობრივი განაწესის დამკვიდრების ამბიციების გამო საქართველოში ღამის ბაბილონის გოდოლის ბიბლიური ისტორია განმეორდა — ქართველებს ერთმანეთის არ ესმოდათ.

მოქმედების დრო, რომელსაც ზაურ კალანდია რომანი მოიცავს, ჩვენი უახლესი წარსულია. ცოდვისა და უზნეობის მორევში მოტივითვე 90-იანი წლების საქართველო, რომელიც ისეთი მოუზაბდეელი აღმოჩნდა თავისუფლებასთან შესახვედრად, როგორც ვაზაფულებზე ნაადრევად ამოსყდარი კვირტი. საქართველოს მისთვის ჩვეული იარები გაეხსნა. ასეთ გამშლი ეპიკურ ფონზე წნდება ხოლმე ის კონტრასტული ფერები და სიტუაციები, რომელიც რომანში მხატვრულ-დამაჩრმუნებელი ძალითაა წარმოდგენილი. მწერლისთვის ეს მშობლიური გარემოა, რომელიც მისივე თვალწინ გადაიშალა. ის ძალიან ახლო მანძილზე ახედავს და აღიჭრება მისი გმირების მოქმედებას, სოციალურ ყოფასა და მორალურ მდგრალობა-არამდგრალობას. მათი ინტიმურ ფორმის ხილართებში ზის და მათივე თვლით ზომავს სამყაროს.

ჭიჭე რომანის მთავარი გმირია, რომელიც ზოგად მეტაფორულ ფუნქციას იძინს. თვალსაჩინოდ გამოვლენილი თვისებათა მრავალფეროვნებით იგი სრულყოფილი მხატვრული სახეა. მის ფსიქოსოციალურ პორტრეტში



ფაქტობრივად თავმოყრილია ყველა თვისება, რომელმაც თავი იჩინა ოთხმოცდაათიანი წლების ახალნაშობრივულ ლიდერულ შორის. თუმცა ჭიჭიერ თინათნაც კარგად იცის, რა ღირებულებაა ბრძანდება. პერსონისა და სიტუაციების შეფასებისას არასოდეს კარგავს ობიექტურობის გრძნობას. ასევე კარგად სხვისი უკუტე პურითა ხარ გამოზრდილი, არც რაიმე გამორჩეული ნიჭი დავანათალა ღმერთმა და არც ყველაზე თვალში საცემი. ჩვეულებრივად დაბალი კაცი, მუზევ ერთი თავით შალალი ჩანს... რაღაც ისეთი უნდა ქნა, უნდა აიძულო როგორმე, რომ იმ „ერთი თავით“ ვითომ მაღალმა კაცმა ტოლივით მაინც შემოეჩვენოს“, — ამბობს იგი, ოღონდ „ახლა მისმა ზარმა ჩამოქრა“!

ჭიჭეს თავდადასავალში, განცდილ-დანახულში, ფოკუსითი თავმოყრილია ქართული უნესრიგობის მთელი ტრაგედია. მას უამრავი ფილიის შეფერვა უნებს, რათა ჭეშმარიტებას თვალე შეაღლოს. ჭიჭეს ფსიქოლოგიური მდგომარეობა, შინაგანი მონოლოგი, რომელიც მთელ რომანში მაქსიმალური ეფექტით განსაზღვრავს ეპოქისეული განწყობილების წარმოჩენას და მისი მჯავისცემის, გადაჯავჭვულია დიდ ეროვნულ-სოციალურ და ფსიქოლოგიურ პრინციპებთან. რომანში არ არის წერილობით ფაქტუც კი, რომელიც ამ შილიათობის არღვევებს, მან, როცა არ იცო, ვინ ხარ და რისი შემქმლ, როცა მხრების ატეგვა ფრთების ამოსვლა გგონა ქიანჭველასავით, მაშინ ილუპები“, — რეალობის არადეკლარატი, რომანტიკული აღქმა სწორედ რომ წინშეული იყო იმხანად. ჭიჭეს სინაფურ-კონცენტრირებული ხილვა აქვს არსებული მდგომარეობისა, რომლის გარკვეული ლოკალის მოძვც ეპოქის პორტრეტი ერთხმ დაბაჯერებლად წარმოგვიდგამს.

ვიცდილი თ ქართველებმა ჩვენი შესაბამელობები მაშინ, როდესაც თავისუფლება მოგვადგა კარს? ჭიჭეს ზენობრივი კონცეფციის მიუხედავად, მან კარგად იცის, რომ თავისუფლება „ცოურ მანანასავით, უარაფროდ არ მოდის“, რომ ერს ვნება, სიფიცხე, შემართება სჭირდება. ძველ კოფის საძირკვლების მოშლა დიდ სიმტკიცეს, ზვარაკს მოითხოვს, „მრავალხარირ“, „მრავალსახოპანი“ თავისუფლებისათვის ბრძოლად ეროვნულ ენერჯის მინიერი გასაჭირი დაატება თავს და ქართველებს ერთმანეთისგან განტოლებს მოუვლინა განსაზღვრავს. ჭიჭე ბარიმტრეგიით რეაგირებს არსებულზე, კარგად ერგება მოვლენებსა და სიტუაციებს. ადამიანის ინსტიტუტებისადმი სულეიერი მორჩილება ზომ ამ ინსტიტუტთა საოცარი გააქტიურების ბრალია. „ძარცვაა ეს, კვლა, თალითობა თუ შამპური, რა ნოზიციამდე გინდა, და ვარო ღღად“, — აცხადებს იგი. ყოველზე ამან, ჭიჭეს სასიცოცხლო უფრეიტობის ისეთი პარალიზება მოახდინა, რომ მისი სულეიერი ძმის — ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი კოლორიტის — ტოჩისადმი ერთგულებაც დაეკანა.

მიშმა და სიკვილიშმა ისე დაცალა ადამიანური ურთიერთობანი, რომ მხობასაც კი შეუენდა წყალი. „ტოჩი ჩემი საფიქარი იყო, მიყვარდა, მეამაყებოდა, მაგრამ... თურმე, შენს გამორჩეულ სიყვარულსაც კი ვერ შეეზარები სიყვდილიმ! ყველაფერი: ძმობა, ფიცი, ერთგულება უნარჩება თურმე“. ეს იყო სწორედ იმ დროის ტრაგიკული მახასიათებელი — ძმებს შორის ასინეთასავით დანანალებდა ტყველი და სიკვილი-სიციცოცხლის დიდი იყო გაპარული. რომანის გმირი ამ ყველაფერის მონანილე და თვითშილე-

ლია. „როცა ღამე უბედურება და დღეც... როცა ტყვიანამლითაა შეტრუსული ცა, ლესკუმის კი არა, დღის სინათლის, ღია კარის შიმიც გაქვს, ქვეყანა ზეზურადა, ცოცხლად დეკა“.

ჭიჭე მართალია, — სენსაციებით, ფსევდოროვნულიობითა და ფეტიშიზმით გატაცებამ ერის გაორება გამოიწვია. ქართული სამყარო, მისდა უნებლიე, იმანენტურად ემორჩილებოდა ანტისახელმწიფოებრე, ანტიზნობრივ კატეგორიებს. ინიციატივა მორალურმა სიყაბღემ და ეთიკურმა უზნებობამ იგდო ხელი. და მაინც, ერის თვითგანმანდნის პროცესი რაღაც კანონზომიერებით მაინც ამოქმედდა და არ შეწყვიტა არსებობა. ამანი განვების ხელი ენია. მასების ნებაში მთვლემარე „ამაღლების“ პროცესი, რომელიც მინდან მონევეტის მტანჯველ განცდასთან გადახლართა, გარდაუვალი ვახდა. როგორც ჭიჭე ამბობს, „საკუთარი თავის პოვნა და დამკვიდრება ურთულესი პროცესია, ეს ქვეყანა მართათნა“. იგი ციცილობს გავრკეებს იმ სიძულვილის ფილოსოფიაში, რომელმაც ქვეყნის დამოუკიდებლობისთანავე ამოყო თავი და უკვე არსებული ნითელი ჭირის სიძულვილი მიყვრის სიძულვილით გადაზარდა. რომანტიკულ აღტკინებას თავისი რიგი სისუსტეებში აღმოაჩნდა: ვინ არ მიძებრებოდა ზემოთ, ტრპუნისკენ, მხდალი და მამაცია, გონიერ და უზუნური, უზრუნველო ინტელიგენტი და გამოზებული ქურდი, სხვა ათასი ნაგავი...“

აი, მწიფლის მიერ იმანენტურად აღქმული ჩვენი ისტორიის ერთი პატარა, ეროვნულ სპეციფიკური დეტალი... საქართველოში ზომ ტახტია ერთი, მეფე კი — მრავალი.

რომანში მოვლენების საოცარი დინამიკით ვითარდება. პერსონიფიკირებულია ყველა, ვინც კი იმ წლებში უხდა პირზე ამბოჯტეცა — ტოჩი, გული, ავტორიტეტა, ვაბო და სხვები, ის საბეები, რომელმაც აძლერეულ დროში იჩინეს თავი. მათ წარსულს არაიერი კითხულობდა. „შთავარა, საბჭოთა ციხე გქონდეს ნახები, წვერი გქონდეს გრძლად და კობტად მომუბეული და, ვინ ხარ, რატომ ამ რისთვის იჯექი, არავინ გკითხავს“. ასეთია ამ კოლორიტული ერომანის „სახელგანამ მატჩანე“. მათი მინაგანი არსი — გრძიმანეთთან შეწყვილებული ცინიზმი და ფსუოჩობა, სიჯოტე და უჯიცობა, ლიდერობის ამბიციური ფსიქოლოგია მიგნიდან ზრნინდა ეროვნულ მოძრაობას. თუმცა ამის დანახვა მაშინ მასებისთვის ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

რომანში ერთგან საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახეც გაიღველება. ჭიჭე სასოებით შეკსურებს მოედანზე გამოჩენილ „პატრონს“, რომელიც „მიდიდა მსუბუქად... თვალადი, სიარულით, ფერი, სიმაღლით გამორჩეული... ღღნავ ნახარბი-წანურულ მხრებზე ღამაში, კობტა თავი ედგა“. და, როდესაც ჭიჭე ფიქრებს, რა ბედნიერებაა, როცა შუნი ხალხი ასე გამოეჩრქვესო, ავტორიტეტა მეფისტიფელით ჩაისინინებს: „თავისუფლებას და სექსს ერთი დიდი საეროი აქეთ — ტბობა ორივეთი შეიძლება, ჩემო ჯამა“. ჭიჭეს ცუდად ენიშნა, რომ „პატრონს“ ცა მარავანდედივით ადგა თავზე „ამ დროს ასეთ ზენიტზე უფრო ახლოა სიკვილი...“ — გაიფიქრებს იგი. ამ ხილვას ემპირიული ასხნა მოქმედებნა — რეალებს განსაკუთრებით ემტრებდა სიკვილი, არც მოკვდავის გაგმსიანების ტენდენციაა მთლად უსაფრთხო, რადგან გაფეტქიშება-გაკერების ისტერიამ საქართველო-

ში არაერთხელ მოაჩვენა სიყვარულის ზომიერი სახეები და ბოლოს ისევ ამ კურბთა მსხვერვა გამოიწვია.

რომანის პერსონაჟთა საკმაოდ მრავალფეროვან გალერეაში იმდროინდელი ბევრი „პოლიტიკური კოლორიტი“ შეცნობია. ისინი ჩვენი ყოფილი პოლიტიკური ფაქტურის პირმშომი არიან, ნაყოფი იმ დროისა, როცა ერს ორსახურებმა დასჩემდა, გაძნელდა მღვრიე ვენბათა და ამბიციურ ზრახვათა კონტროლი. „გალმელებად“ და „გამოღმელებად“ დაიყო საქართველო. რომანის გმირი ჭიჭყერაგად აცნობიერებს არსებული დემოკრატიის მთელ ტრაგიზმს: სანამ გამოღმელებს „ჩვენ“ გვეჭია და გაღმელებს „ისინი“, ჩვენი სამველი არ იქნება. ეს ხიცი კ არა, უფსკრულია — ლვარბოიეთი აბოუცხლი, სიძულვილით უძირი, თითო-თითოდ რომ გვიჩაქვს ყველას და გვინიღებს“.

ასეთი ლუსკუმვიც კი მხარეებს რაღაც იზიდავს, მაინც გადადიან ერთმანეთთან, ახერხებენ სიახლოვეს ხიდის გარეშე და კვლავ შორდებიან, რათა ცხენისყლის აქტიურობით დარჩენილებმა ერთმანეთს დაუმიზნონ. უნდა ახსოვდეს თუ არ ვნახო ის დანჯეფლილი დღეები? „რაც არ უნდა გახსოვდეს, ის მახსოვს ხომეც, ცხირ-პირს მომიტრუსავს, მოულოდნელად, უნებურად“. ჭიჭყერაგებს საყვდურებს, რადაცას განიცდის, როგორც ჩანს, მასში არ მომკვდარა ყველაზე მთავარი, ის, რამაც მისი სულიერი ერთობა უნდა შეაქეროს, არის სინდისა — ადამიანის მიწერილი მსაჯულება.

ზაურ კალანდიას რომანში, მწერლის პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით, მემბრანის ობიექტურ სასწრაფო ანონილი, თავზარდამცემად მამხილებელი ფონია. ასეთ ფერებში ცისარტყელისავეთ გადაეცლება სამერმისო ფიქრებს ნანარამობებში ფრგამენტულად გამოჩენილი წყვილის სიყვარულის ისტორია. მაცხოვრის ეკლესიის ქვემოთ, პოეტის საფლავზე ნიბლიასავით ჩაუცქერული გოგო, სასიყვარულო ბართის უტკოვებს მიჯნურს. ბართი ადრესატამდე არ მიადნებს, რადგან ჭიჭყერაგებს ხელი. თუმცა ისინი მაინც იპოვიან ერთმანეთს. არა, ის, რაც ქაოსს ანესრიგებს, უდაბნოს აქალაქებს“. რომანის ეს პატარა ეპიზოდი საბოლოო აფხიზლებს არსებულიდან გამოსვლის ძიებით შეძრწუნებულ კითხვებს: „პო, ვერა, ვერა... რახან იმ მწერლის გარეშე, დაუთქმელად შეხედდენ და მონახეს ერთმანეთი, როგორც გასაცქევი გზა, ის ნავსაყუდელიც არსებობს თურმე ამ ქვეყანად. შეტვიც, ეს ის ძალაა, ამ დროში — უფრობის ფაშიცი, ტლამაში თავგარგული რომ იყო, დედამინის ღერძად გამოგინინებს უთუო“. მწერალი მოუღვანათა შეფასებისას აქაც, ჩვეულებისამებრ, ობიექტურია — სიყვარულის ფაქციტებს შექმნა ბოლო ათწლეულის უფრობა, რომელიც თავს დაგატყდა. არსებობს კი დამარჯვებელი მშათამკვლელ ომი?!

ჩვენ ნაკვალევზე ბალახი არ ამოქა! არც იმათ ნაკვალევზე ამოვა ბალახი! ჩვენ დავმარცხდით!“ — ეს არის საოცარი თვითგვემის განცხად, რომელიც ჭიჭყერს სასწრაფო კვეთილ აღსარებას ახლავს.



რომანის დასასრულს ოქროსგან წამხდარ-ნაბილწული, ღლატსა და სიკვდილის შეამზანაველები, მომწიფოვან სასიკვდილოდ განწინრული ჭიჭყერაგის ძირას ავტორიტეტას ძაღლის — ლილისფერბაზინი ოუკისგანჩენს უნებება. „განაწინსთვის მივბრუნებ? ძეგლი უნდა დამიდავა, იუკი? სწორი ხარ... ძეგლი უნდა დავაგადავა, აბა რა! ყველა ის, ნებით თუ უნებლიედ, დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად რომ ჩაკრა ფეხი ამ ჭიჭყერაგ, მენც „კუკლას“ იმსახურებ, ძვირფასო!

დროის ამ მონაკვეთს ეს ეკუთვნის!  
თქვენ უფრო გვეკუთვნით, ჩემო მახრობეგლა ძებო!

თქვენი საგზალი არის ცოფავა!  
მე ხომ ისედაც ვკვებობი მე უპირატე-  
მე ზეცავი მაქვს!... ვიცი, ეს ქარიშხლები  
გადაივლის. მერე ნიემები მოვა... აუ, ღლი  
წიემები იცის აქეთ. ერთხელაც მოვარდება და ყველაფერს,  
რაც იყო, რაც არის, წაიღებს, გადაერეცხავს, ჩახეტავს...  
მთავარია, დროულად მოვიდეს!

ლოცვა-კურთხევა ამ ხალხში შემოვიდეს...  
კიდევ: ერთი შემოლანუნება უნდა ერს და ქვეყანა გამ-  
თელდებამ!

სიკვდილთან შეხვედრა ეს სცენა ჭიჭყერს საოცარ მომხიბლველობას ანიჭებს. რეალური ყოფის უძღურებასთან ერთად, არსებობისათვის ბრძოლაში მოქმედებული, იგი ამ ბრძოლაში დახარჯულ ენერჯის მისტორის, სიკვდილის წინ ჭიჭყერაგის ერთმანეთს და საკუთარ თავთან ბრუნდება, საკუთარ ნაოსნულს მოიძიებს და სინდისს გაუსწორებს თავს. მთელი რომანი საოცარ მინაგავ ქაილზე აგებული. მის ფინალში კი საბოლოოდ მაინც იხსნება პოზიტორობის მარადიული იდეა — სიკეთის არსებავარძელობის არეოპაგიტული რწმენა. არსებულ აუცილებლად უნდა იძლიოს, როგორც სიკეთით დაირგუნული პორტეტა და დღეთის სამართალი ამ ხალხში უნდა შემოვიდეს“.

„ძეგლი ყველასათვის“ არ არის „ძილის ნინ“ საკითხავი რომანი. მის ხანგრძლივებას არა მარტო სათქმელის სიყვანადე და აქტუალურება განაპირობებს, არამედ ისინი განსაკუთრებული ნიჭი, ჭეშმარიტი მწერლისთვის დამახასიათებელი ქმედებობა, მკითხველის განცდებზე საბუნებისმეტყველოდ რომ მოქმედებს. ეს არ არის ჩვენი რეალობის მოუღვანათა მშრალი იმპროვიზაცია, ეს არის ოსტატის მატერულ სახეობრივი ხორცმესხმა ინდივიდუალური მანერვა და ეფექტით სამომავლოდ დათელი იმაზე, რომ მათამოხველობამ სწორი დასკენები გამოიტანოს, რომ თავისუფლებზე მოცინებდეს ერს, აკაკი ბაქრაძისა არ იყოს, უნდა ჰქონდეს ავთანდილის თავდადება მოყვანისადმი, შავი-უსუბის პასუხისმგებლობა და მინდიას სიყვარული სამყაროსადმი.

ზაურ კალანდიას ეს რომანი, სწორედ ამ პოსტულატებზეა ორიენტირებული. ეს არის სასიკვდილო მენება ერის არსებობისათვის და მწერალმა ამის შესახებუნებად დროც და სიერცვეც სწორად შეარჩია. ფეფორია, ეს რომანი ერთ-ერთი საუკეთესოა იმ მატერულ ტილითა მორის, რომელიც საუკუნის დასასრულის ქართული სინამდვილის „ზნეობრივი ისტორიას“ ეძღვნება.



ისებ ტუბურშიც

# ცოტა რამ გაბარინზე და უფრო მეტი მებრძოლზე

ყურნალ „ჩვენს მწერლობაში“ (5 დან) შოთა გაგარინისა და გუბაზ მგერელიძის წერილები რომ წავიკითხე, საბოლოოდ დაერწმუნე, რომ „ოცდაჩვიდმეტი“ არც ოცდათორამეტში დამთავრებულია და არც ორმოცდარამი. დღესაც გრძელდება. ისიც უფრო თვალნათლივ დავინახე, რაოდენ საჭირო ნივინ დაუნერია ქალბატონ ნათელას პრეპლატას. თანაც სწორედ დღევანდელი პირობებისა და სწორედ მომავლის გადასარჩენად. ყოველთვის ვიპაიყებ, ასეთ ნივინ რომ ვურედაქტორ.

## ბოლოსინა შთაბეჭდილება

თავდაპირველად, ორიოდ სიტყვას გაგარინზე ვიტყვი. თხუთმეტიოდე წლის წინათ, ერთ-ერთ გაზეთში ასეთი ვერსია თუ ლექსივით ამოვიკითხე: გაგარინი არ დაღუპულა. უბრალოდ, კოსმოსიდან შეურაცხადან მდგომარეობაში მოხრუნდა. საბჭოთა მთავრობამ და პროპაგანდამ კი ეს ფაქტი საგულდაგულოდ დაიმალა. გაგარინი დღესაც ცოცხალია, მაგრამ სხვა სახელით და გვარით ცხოვრობს.

ეს ვერსია მაშინ სასაცილოდაც არ მეტო, დღეს კი ვფიქრობ, რომ ადვილ მოსაძებელია, სიმართლეს შევეფერებოდეს.

კაცო შოთა გაგარინის ფსევდონიმს ამოვადარებდა, პოლემიკაში ჩაებმება, საკუთარ სტატიას „საბოლოო შთაბეჭდილებას“ დაარქმევს და შემდეგ სხვის ადექტატურობას ეჭვის ქვეშ დააყენებს, ლეგენდურის თუ არა, უკეთეს შემთხვევაში, ვირტუალური გაგარინის ასოციაციას აუცილებლად გამოიწვევს.

მაინც, რას შედეგებას ეს ჩვენი ვირტუალური გაგარინი? — ქეთი თუთბერიძის ლექსი ისე დაინუნე, რომ მისი ანალიზი არ შეგეცთავებო.

მეგონა, ავგარი ანალიზის ნიმუში თვითონ გვიჩვენებდა და ავგარინი, რატომ არის ტექსტის, სადაც 23 წლის ქალიშვილი „თავის მამაკაცებს“ ჯერ (ექვსამდე) რიგითობის მიხედვით ჩამოთვლის, შემდეგ კი — „ერთ-ერთობით“, ლექსი ანუ პოეზია.

განხილული დავრჩი.

ეტყობა, თვით ეს გაგარინიც კი მიხვდა, რომ ამის დამტკიცება ისევე შეუძლებელია, როგორც იმ გაგარინის კოსმოსში ხელმწივრედ გაფორება.

ისლა დამრჩენია, კვლავ ჩემს ზეობრივ ორიენტრებთან დავრჩე (ტავტოლოგია შეგნებულია) და მეტი მნიშვნელობა მივანიჭო ჩემთვის ძირითადი ადამიანების აზრს. მაგალითად, პატრონი რეზო სირაძისას. როცა ხსენებულ ლექსზე ჩემი კოტრეკული აზრი გამოქვეყნენ, ორიოდ დღის შემდეგ, პატრონი რეზო ჭავჭავაძის გამწირზე შემხვედა და მითხრა: „მიხდა, მაგდონა გივისარი არა მხოლოდ იმისთვის, რასაც წერ — ეს თავისთავად, უფრო მეტად იმისთვის, როგორც წერ“.

მსგავსი რამ ძალიან ბევრისგან მოვისმინე.

გაგარინს კი (თუ მართლა გაგარინი არ არის) ერთადერთ რამეს ვურჩევდი: ხშირად გაიაროს ფეხშიშველად ცხერიან ბალახზე და იქნებ, ოდესმე მიხვდეს, რომ ხელოვნება ჯერ ეროვნულია და შემდეგ — ინტერდისციპლინარული“.

ერთ-ერთ ყველაზე კომიურ, მაგრამ, ჯერ განსაცვიფრებლად ქართველ პოეტს მოუსმინოს, თორემ ამის მიხედვარაში ვერც თავ დერიდა დაემბარება და, სამწუხაროდ, ვერც ირაკლი ჩარკვიანი.

## კომპაქტური უსვავოვა

„მაინც ვაბედა ნივინს რედაქტორობა“, „აი, სადამდე მიდის არაკომპეტენტურობა“, „ბრმად იმეორებს“, „არ ახსოვს, ან სპეციფიკურად ჩქმალავს“... „ამდენად არის დაბრმავებული“...

ასე მეგონა, სწორედ მეოცე საუკუნის 30-იან წლებში დაწერილ სტატიას ვკითხულობდი.

სწორედ ასე წერდნენ ნათელა არველიძის ნივინს გმირებზე — მარჯანიშვილზე, ახმეტელზე, მოგვიანებით, თუმანიშვილზე, სტურუაზე...

ასე გრძელდებოდა „ოცდაჩვიდმეტი“.

გრძელდება დღესაც. როგორი იქნებოდა, პასუხიც ამავე „სტილით“ რომ გამეწყო: „იმედა, გუბაზ მგერელიძე ახლა მაინც დაბნობს თაყვ. ვ. კიკნაძის პიპინოზისგან“ (თუ თანამაზრეობა დანაშაულია, ისინიც ხომ თანამაზრეინ არიან?)

ღირსი კია, ასევე განავრტო — ისიც და ამ შემთხვევაში, როსტომიც, მაგრამ ამას ვერც საკუთარ თავს ვაკადრებ და ვერც როსტომის ვურნახს.

შესაძლოა, ვინმე იკითხოს, როსტომს რას ერჩის, განა დაბეჭდვებზე უარი უნდა ეთქვას?

უარი არ უნდა ეთქვა, მაგრამ ოცდაჩვიდმეტი წლის ლექსისგან და დღანდლისი თეატრმცოდნის (ქალბატონის!) შურარაცხმყოფელი ფრაზებისგან „სტატიის“ განთავისუფლება კი უნდა მოეთხოვა.

როსტომი, რა თქმა უნდა, ვალდებული არ არის, მეგობრების წყენინებას მოერიდოს, ის კი ევალება, თავისი ურნალის ღირსებას რომ გაუფრთხილდეს.

ეს არის და ე, თორემ ჩემზე ან სხვაზე კრიტიკული წერილების გამოქვეყნებას კი არ ვურძალავ — ამისგან ღმერთმა დამოფაროს — მაშინ ხომ გუბაზ მგერელიძეს დავემსგავსებოდი, ნივინს რედაქტორობა როგორ ვაბედეო, რომ მეუბნება.

თარმე, ამ ნივინს რედაქტორობა და რეცენზენტობა მე რომ არ მეკისრა, ის შეუფასებელი დარჩებოდა. არადა, ნივინს წარდგენაზე არაერთმა თეატრალმა შეაქო იგი. თეატრმცოდნემ, პროფესორმა მანანა გვეჭკორმა კი აღნიშნა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მსგავსი ნაშრომი არ შექმნილა.

მეგერელიძე წერს, რომ ამ ნივინს რედაქტორობა „არც დღემდე პროფესიონალმა არ იკისრა“.

ქალბატონ ნათელას არც არავისთვის შეუთავაზებია, რადგან, ჯერ ერთი: ნივინს რედაქტორის მისია „საბჭოურად“ არ ესმის. მეორედ: ეს ნივინ მოგვიტობრბს



თეატრისა და სახელმწიფოს, თეატრისა და საბჭოთა ხელისუფლების ურთიერთობაზე. ქალბატონი ნათელა რედაქტორის არჩევანში ფრიად მუხდულელი ბრძანდებოდა: ნაშრომში საუბრობს იმაზეც, თუ როგორ ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლება მიხედვით თეატრში მდგომარეობის ხელსაყრელად. ბუნებრივია, ამ წიგნის რედაქტორობას ვერ (სი) შეთავაზებდა „კომპეტენტურ და პროფესიონალ“ ყოფილ ჩინოვიციკებს, ამ ბრძოლაში ხელისუფლების მხარეზე რომ იდგნენ.

რაც შემსება მე, როგორც რედაქტორს, გუბაზ მეგრულიძის აზრით, პროფესიონალი ჟურნალისტი კი ვარ, მაგრამ, თურმე, ქართული თეატრის ისტორია არ ვიცო და ვერც 30-იანი წლების სპეციფიკურ საკითხებში ვერცევი (?). ალბათ, მეგრულიძე იმას გულისხმობს, რომ ბევრი თეატრმცოდნისაგან განსხვავებით, მე სუკის არქივებში არაეინ შემოვივებდა, რადგან საამისო „დამსახურება“ არ მქონდა და საბჭოთა მთავრობის ნდობით არ ვსარგებლობდი.

მაგრამ მთავარი ხომ დოკუმენტის „ხელში ჩაგდება“ კი არა, მისი ნაკითხვის, ლოგიკური გაანალიზებისა და შეფასების უნარია. ამას კი ნიჭთან, ცოდნასთან და ლოგიკურ აზროვნებასთან ერთად, მამულშიმდგომის გული სჭირდება.

თეატრმცოდნე, ცხადა, თეატრის ისტორია უნდა იცოდეს (ამას უნიჭოც მოახერხებს), მაგრამ მას უპირატესად, კონკრეტული სპექტაკლის და თეატრალური პროექტის გაანალიზება უნდა შეეძლოს.

აი, ისე, ქალბატონი ნათელა არველაძეს რომ შეუძლია. ვისაც ეს ახლავს, მან ქართული თეატრის ისტორიაც ჩინებულად იცის.

ისე, როგორც ქალბატონმა ნათელა არველაძემ იცის. ქალბატონი ნათელას კომპეტენტურობაში ეჭვის შეტანა მეტისმეტად სასაცილო იქნებოდა — ამდენს მეგრულიძეც მიზნდა. ამიტომ მე შემომიბტია — ქართული თეატრის ისტორია არ იცისო. ასეც რომ იყო, წიგნი ხომ კომპეტენტურმა თეატრმცოდნემა დაწერა?

მეგრულიძე ვის ედავება?  
ანდა რა არის აქ სადავო და რა მოითხოვს ქართული თეატრის ისტორიის ცოდნას?

საქმე ენება აკ. ვასაძის განცხადებას, სადაც ის საკუთარი ხელით წერს: „ახმეტელი განაგრძობდა კორპორატიული მეთოდებით მუშაობას თეატრში და ახალი ფაშისტიური წრე ჩამოყალიბდა ფარულად, რომელიც ც. კომიტეტის დახმარებით ჩემი და აკაკი ხორავას მეთაურობით გამოიმუქვანებული და განადგურებული იქმნა რუსთაველის თეატრში“. თანაც ხომ აქვს მნიშვნელობა, რატომ წერს? — საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ასეთი დამსახურება მიმიძღვის და პარტიამი მიმიღეთო.

რას უშველის ამ ამბავს გუბაზ მეგრულიძე?

უფალიც ვერ უშველის!

თუმცა მეგრულიძე უფრო უშველის, რადგან, ჩემგან განსხვავებით, „30-იანი წლების სპეციფიკურ საკითხებში ურკვევა“ და ვასაძის ზემოხსენებული განცხადების გასაბაილებლად, მოაქვს საარქივო მასალა, რომელიც აბსოლუტურად არ ენება ვასაძის განცხადებას.

აქ ლოკია და კომპეტენტი ერთნაირად ზედმეტი. თეატრმცოდნე, უპირველესად, ნერა-კითხვა უნდა იცოდეს — ერთ-ერთი მაინც. აქამდე მეგონა, რომ გუბაზ მეგრულიძე კითხვა იცოდა.

მე ვწერდი ქალბატონ ნათელაზე: „ის იმ ღირსეული ქალბატონის შთამომავალია, საბჭოთა მილიციის თავისი სახლის აივანზე ნითელი დროშის გამოკიდების უფლება რომ არ მისცა“.

გუბაზ მეგრულიძე წერს: „თურმე ნათელა არველაძე გმირიც ყოფილა, ვინაიდან საბჭოთა მილიციისთვის თავისი აივანზე ნითელი დროშის გამოკიდების უფლება არ მიუცია“.

შეიძლება, ასეთი კაცი ვინმეს კომპეტენტურობაზე მსჯელობდეს?

შეიძლება, ასეთ კაცს საარქივო მასალებს გაეგება და ანალიზი მოეთხოვოთ?

იმ რეცენზიამ არ დამინერია, ახლა კი ვფიქრობ, რომ ნათელა არველაძე მართლაც გმირია, თუნდაც იმიტომ, ათელის წლების განმავლობაში ამათ რომ უძლებს — აქ გუბაზ მეგრულიძის იმდენად არ ვგულისხმობ, როგორც მის „კომპეტენტურ“ ნამუშევრებს, — მათ შორის იმასაც, ცნობილ რეჟისორზე დაწერილი წიგნი იმ რეჟისორმა სწორედ არაკომპეტენტურობის გამო რომ დაუბატიკრმა.

კომპეტენტურობის თემაზე ერთსაც დაუქუნ: რამდენიმე წელია, მარტოდმარტო ვიცავ მიხედი თეატრში მდგომარეობის რეჟისორისა და თეატრმცოდნეებისგან, რომლებმაც მისი ნააზრები („თეატრში მდგომარეობის რეჟისორისა და თეატრმცოდნეებისგან“) ისეთი კურიოზებით გამოსცეს, რომ დიდი რეჟისორი და ასევე დიდი მოაზროვნე საფლავში მაროლაც გადაბრუნდებოდა. აი, ორივე მარტალიტი (ბატონი მიხეილის მიერ რუსულ ენაზე ჩაწერილი აზრები მათ ასე თარგმნეს: „მსახიობი ელექტრიკოსის მიერაა განათებული“, „ეს უკვე არის აბსოლუტურობის შენობის მიჯრით დაცემული“, „ჯოტო ქმნის ფრესკებს, სადაც ტანჯული თანდათან დნებიან და ცოცხალ ადამიანებად იქცევიან“ (სხვათა შორის, რეჟისორის ოჯახმა ამ წიგნის გავრცელების აკრძალვა მოითხოვა, მაგრამ ვერ მიადნია და ახლა საჩუქრებად არიგებენ — საკანში უცნობისთვისაც კი მოურთავიათ).

არ მახსენებდება, რომ გუბაზ მეგრულიძე ამგვარ ფაქტებს ადევნებოდა.

ქალბატონი ნათელა არველაძის ღრმა და გაბედულმა ნაშრომმა კი აღაშფოთა.

და ამით საკუთარი თავი გაამქვლავა.

და არ მზოლოდ საკუთარი თავი. მამუხაროდ, ვერაფრით ვაუფლებ.

სამშაბათს, 7 აპრილს  
 ფურნალ „ჩვენი მწერლობის“  
 დარბაზში გაიმართება  
 შეხვედრა

ლია სტურუასთან  
 დასაწყისი 14 საათზე  
 ჩუბინაშვილის 41



ტომას ელიოტი

## კლდე

ქორუპი  
პოეზილა

სიტყვა უფლისა მისწედა ჩემს სმენას,  
ღალადებდა და იტყოდა იგი:  
„სასწალოებელი ქალაქებო საქმიან კაცთა,  
უზადრუკო და უგვანო მოდგამე  
ფრიად განსწავლულ ადამიანთა,  
გონების ქსელეტი ხართ გართლნი და  
თქვენივე ნაშრომით ხართ მოსყიდულნი!  
მე თქვენ ხელები გიბოძეთ და  
სალოცავად არ აღაპყარით;  
ენა გიბოძეთ, –  
ლაყბობისთვის გამოიყენეთ;  
მცნება გიბოძეთ, –  
თქვენი წესი დააკანონეთ;  
ბაგე გიბოძეთ,  
რომ მოყვას თქვენსას  
თბილი სიტყვით მოფერებოდი;  
გული გიბოძეთ  
ნდობისთვის და სიყვარულისთვის, –  
თქვენ ერთმანეთის სიძულელი და  
უნდობლობას ის მოახმარეთ;  
თავისუფალი არჩევანის ნიჭი მოგმადლეთ, –  
უშვერ ქვევასა და ფუჭ აზრებს,  
მერყეობას ის შეაღიეთ.  
ბევრი თქვენგანი წიგნებს წერს და აქვეყნებს კიდევ;  
ბევრს სურს ნაბუქფუხე ნახოს თვისი სახელი, გვარი;  
ბევრი კითხულობს მხოლოდ საპორტულ შეჯიბრთა

ამბებს;

ზოგჯერ კითხულობთ ზოგ რამეს სხვასაჲ,  
მაგრამ არ სწყალობთ, არ კითხულობთ  
თქვენ სიტყვას ღვთისას!  
სახლებს აშენებთ და აპირკეთებთ.  
და არ აშენებთ თქვენ ტაძარს ღვთისას.  
ან კი თლილი ქვით ნაგებ ტაძარს  
რად ააშენებთ?!  
სიყალბით, ჭოროთ, გაზეთებით  
რომ გამოტყენოთ?!

\*\*\*

ქე კაცისა ჯვარს არ ცმულა მხოლოდ ერთხელ,  
კარგა ხნის წინათ,  
და მხოლოდ ერთხელ არ დაღვრილა  
მარტივლთა სისხლი,  
და არც წმინდანებს მბოძებიათ სიცოცხლე ერთხელ.

უნყოფდეთ, მარად ჯვარს ეცმება ქე კაცისა  
და სიტყვა ღვთისა;  
წმინდა მამები და დედები კვლავ იშვებთან,  
ნაშებულთ სისხლი კვლავ დაინთებვა;  
და, თუ ზეციური საფეხურებს  
მათი სისხლი უნდა ემხეფოს,  
ჯერ საფეხურთა აზიდვა გემართება,  
ჯერ ხომ ტაძარი ხელთუქმნელი უნდა აღუმართოთ.

\*\*\*

ადამიანო, იხილე და ისმინე კარგად,  
და გულის კარი გაღებული დაახვედრე  
სიტყვებს, ჩემს ნათქვამს:  
ვინ არის იგი, ვინც დაგვმოძღვრა,  
რომ სახლი ღვთისა სახლია სვედის,  
და რომ ჩვენ უნდა გვემოსოს თაღლი  
და ცხვირ-პირი ჩამოგვტვიროდეს;  
და უკაცრიელ ტალანებში  
ვფათურობდეთ, ვბორილებდეთ  
და გჭურჭულდეთ ძლივსგასაგონად;  
და სანთლის ბუქტვას,  
ალის პარპალს მიჩურებულნი  
ვიცახებდეთ და მარად ეკრთოდეთ  
სანთლის ალივით?!  
ამის მიქმელთ სურთ, რომ ღმერთს დააკისრონ  
სვედა, თვისი გადასატანი;  
უფალს აპკიდონ დარდი, რომელიც  
ყოველწამიერ შეცოდებას, სიყალბეს მოაქვს.  
თავად ისინი, ამის მიქმელი,  
უბან-უბან დაბრძანდებიან  
გაოროზი მჭერით,  
ქედმაღლურად გაბღენილები,  
თან წმინდა სისხლის ულაცებად რომ მოაქვთ თავი,  
ჯიროთს დანატრულ, ფაფარამლილ ბედაურებად?!  
ჩაცმულ-დახურულ-დაპარანჭულნი  
ერთვებიან ფორუმებში, დისკუსიებში,  
ათასი ჯურის თავყრილობებში.  
ყველა სიკეთეს მიიწერენ  
და სადარბაზოდ მუდამ მზადმყოფნი  
კეთილდღეობას ხარბად იხევეტენ.  
სხვის დასანანად ცხოვრებას ეგებ  
ჯობდეს, რომ დაჯიროთ,  
განგმარტოვდეთ საკუთარ თავთან;  
ეგებ გვიჯობდეს სინანულის გავივნით გზები  
და წმინდანთა გუნდს, ხალისინს, მიგბაძით ეგებ,  
მათგან შევიცნოთ სიხარული  
უნაპირო, დაუსაზღვრელი.

\*\*\*

კაცის სულს მართებს, ააქქაროს შემოქმედება  
და შემწე გახდეს თვით შემოქმედოს.  
უფორმო ქვას რომ საკუთარი არსებით ერწყმის,  
სიცოცხლის ახალ ფორმას პაღებს ადამიანი;  
სული კაცისა უტყვად და უსმ ქვას  
აძღვეს სიცოცხლეს.  
რაც ცოცხალია, ან – უსიცოცხლო,  
რაც უფორმოა, ანდა თითქოს აზრს მოკლებული,



ყველაფერს ამას მხატვრის მზერა რომ შეერწყმება, ჩნდება ახალი სიცოცხლე და ახალი ფორმა, ახალი თრთოლა, ახალი დერი. აბორგენული ბგერების ზღვიდან სიცოცხლეთ ფეთქებას იწყებს მუსიკა. და ერთმანეთში ახელილ სიტყვებს თოვლჭყაპივით ამოთვალავს ზღვივას, ადამიანის დალაგებას აზრი და გრძობა, ადგილს მიუჩენს ყოველ ბგერას. და გადმოსკდება სიტყვათა ჩქერი, მშვენიერი, მომჯადოებო.

\*\*\*

ჰოი, ნათელი უღამებლო, თვალისთვის ვერსაფერულო! ჰოი, დიდო ნათელი, მცირედისთვისაც გმადლობო! განითავის ალმოსაველეთი ჩვენს მწვერვალებს სხივს შეუფენებ; შებინდებისას ცის დასავალს ცერად სხივს სტყორცნი; შეღამებისას, ღამურების ვალაღების ჟამს, დამდგარ ტბორებში გამოჩნდება მქრქალი ნათება. თვალმუდგამი, უსხეულო ნათლის ძალა მთვარის მუქში,

ვარსკვლავთ ციალში, ზარნაშოს თვალთა გავლევებში, ციციანთელას გამოკრთობაში, ბალახის ღერზე შერჩენილი ნამის ციმციმში. ჰოი, ნათელი მიუწვდომელი, ჩვენი თვალის ვერსახლველო, ჰოი, ნათელი უღამებელი, მარად თაყვანს გცემთ და გადიდებთ შენ!

გმადლობთ ნათლისთვის, რომელსაც ვანთებთ საკურთხეველზე, უფლის ტაძარში; წმინდა სანთლისთვის, გარინდულ მლოცველს სულს რომ უნათებს; ფერად სარკმლებში მჭერავ ნათლისთვის, ძვირფასი თვლების ელვარებისთვის, მოკრთოვილი ჩუქურთმიდან და ფრესკებიდან გამომკრთალი ნათლის სხივისთვის, იმ ნათლისთვისაც, ნყლის ჩქერალში რომ გატაკდება. ვხედვით ნათელს და არ კი ვიცით, საიდან ჩნდება; ჰოი, ნათელი უხილავო, გაქებთ, გადიდებთ!

ამსოფლოური ცხოვრების რიტმში ჩვენ გვღლის ნათელი. გვიხარია, დღე რომ ღამდება, – გადამეტებულ აღტაცებას ტკივილი ახლავს. ჩვენ ბალღები ვართ: მალე ვიღლებით და ვიქანცებით. ბალღები ვართ: ღამით ვფხიზლობთ და შუშხუნები რომ ტკრციალებენ, ჩვენ კინი გვწყდება. დღე კი გრძელთა საღვანადაც, გასართობადაც;

ჩვენ გეტანავს ხოლმე გაფანტულობაც და დამბავც ჭკუა-გონების; ჩვენ ვიძინებთ და თან გვიხარია, რომ ღრმა ძილი გვქვს. ჩვენ გამომნებს და გვენროთის სისთვის რიტმი; გვენროთის დღე და ღამე, და ნელინადის დრონი გვენროთიან. უნდა ჩავაქროთ სანთელი და ისევე ავანთოთ, მუდამ უნდა ვაქროთ და ვანთოთ. ჩვენ შენ გიმადლით მცირე ნათელსაც? ნათელს, რომელსაც თან ახლავს ჩრდილი. გმადლობთ, რომ მოგვეც ნიჭი შენების, ძიების, პოვნის; გმადლობთ, თითები რომ გვაქვს მოქნილი და რომ გვიბოძე ჩვენ თვალის ჩინი, და საკურთხეველს უხილავი ნათელისას როცა აღმართავთ, მას ჩვენ ვანათებთ წმინდა სანთლებით, რომელთა ხილვა თვალს შეუძლია. მადლობას გიმღვნით, სიბნელით რომ ნათელს გვახსენებ! ჰოი, ნათელი უხილავო, თვალმუდგამო! მარად მადლს გიმღვნით და გადიდებთ შენ!

\*\*\*

უფალო ჩვენო, ვისთვის ვიღვნით, თუ არა შენთვის? სხვას ვი მოვართვით ძღვენად ნახტლავი? ვის მსახურებდად გავიმეტოთ სიცოცხლის ძალა, ღირსების გამძობა, მშვენიერის, დიადის განცდა და სინატიფე გონებისა, სიამოვნება აზრით მოგვირილი? უფალს, შემოქმედს უთუოდ უნდა, ჩვენც ვენოღეთ შემოქმედებას, ჩვენი ნაღვანით მას ვმსახურებდეთ. რაიმეს შექმნა – ეს ხომ მისი მსახურებაა. ადამიანი ერთობაა სულის და ხორცის, და უფალს უნდა მსახურებდეს სულით ხორცამდე. ორი სამყარო კაცში ხედება მხოლოდ ერთმანეთს. თვალთ ხილული და უხილავი ერთმანეთს უნდა შეუერთდეს თქვენს სხეულით, უფლის ტაძარში. ამიტომ გეტყვი: სხეულს ნუ თრგუნავთ!

დიოდ ღვანლისა და გარჯის და დაგვის, შრომით იქმნება ქვის ქანდაკება, ჯვარცმის ხატვისას ჯვარს უნდა ექვე, საკურთხეველის მოკაზმებასაც შრომა სჭირდება. და შემოაღწევს სულში ნათელი, ის აგამალებით, ზეცად აგზიდეთ; სანთლის ნათელი, თვალთ ხილული, ოდენ ხატია, შეხსენება ზეცოური ნათელისა, უხილავისა.

ინგლისურიდან თარგმნა  
მანანა გიბინიძე



ვარლამ შალამოვი

ღამიანი

სანიტრებმა გადმომათრიეს ათწილადი სასწორის ბაქ-  
ნიდან. მათი ღონიერი და ცივი ხელები მაკავებდნენ, იატაკ-  
ზე რომ არ დავიშვებულყოფიკი.

— რადეჩიშე? — იყვირა ექიმმა და კლამნი ვაკუნთი ჩა-  
ანო სამელნეში.

— ორმოცდარვა.

საკაცვზე დამაწინეს. ჩემი სიმაღლე ასოთხმოცი სან-  
ტიმეტრი, ნორმალური წონა — ოთხმოცი კილოგრამი. ძვლებ-  
ისი წონა — ორმოცდარვაი პროცენტი საერთო წონისა —  
ოცდათორმეტი კილოგრამია. ამ სუსხიან საღამოს თევქსმე-  
ტი კილოგრამილა დამრწინოდა, ზუსტად ერთი ფუთი: ტყავი,  
ხორცი, შიგნეული და ტყინი. ყუველეფ ამას მაშინ ვერ გა-  
მოვითვლიდი, მაგრამ ბუნდოვანად მესმოდა, რომ ყუველიეფ  
ამას აკეთებს ექუმი, რომელიც ქვეშევეზად მიყურებდა.

ექიმმა გააღო დაკლიტული მაგიდა, გამოსწია უჯრა,  
ამოიღო თერმომეტრი, მერე ჩემკენ დაიღუნა და თერმომეტ-  
რი ფრთხილად ჩაშდო მარცხენა იდლის ქვეშ. ერთმა სანი-  
ტარმა მსყვე მომზაჯინა მარცხენა ხელი მკერდზე, მეორემ  
კი ორიეფ ხელი შემოარტყა ჩემი მარჯვენა ხელის ვახანს. ეს  
ნასწაული, დამშავებული მოძრაობანი ნაიფული გახდა ჩემ-  
თვის მოგვიანებით — მთელს საავადმყოფოში ბარე ას სა-  
წონლზე მოდიოდა ერთი თერმომეტრი. შუშის ნივთმა შეიქ-  
ვალა თავისი ღირებულება, თავისი საბაზტიბი — მას თვა-  
ლსწინანიეფი უფრთხილდებოდნენ. ამ ინსტრუმენტით ტემ-  
პერატურის გაზომვის ნება ეძლეოდათ მხოლოდ შიმშილსა და  
ახლად შერისზე ავადმყოფებს. გაიჩვენაწირეულიეფილთია  
ტემპერატურის ანგარიშობუნენ ბულსის მიხედვით, და მარ-  
ტლორად სატყფო შემთხვევაში იღებოდა მაგივის უჯრა.

კედლის საათმა ათი წუთი ჩაიწკარუნა, ექიმმა ფრთხი-  
ლად გამოიძლო თერმომეტრი, სანიტრებმა ხელი გამიშვეს.

— ოცდაათობმეტი და სამი, — თქვა ექიმმა. — შენ შე-  
გიძლია მიპასუხო?

თვლებით ვანიშნე — შემიძლია-მეთქი. ძალ-ღონეს ვი-  
ზოგავდი. ხელ-ხელა და გაჭირვებით წარმოვთქვამდი სიტ-  
ყვეს — ეს ნაავადე თარგმანს უცხო ენიდან. ყველფერი  
დაშინეებოდა. გადავჭერი გახსენებას. ავადმყოფის ის-  
ტორიის ჩანარა დასრულდა და სანიტრებმა იოლად ახსნეს  
საკაცე, რომელზედაც ვუღალავი ვინეეკი.

— მიექვევი, — თქვა ექიმმა. — ლუმელთან ახლოს.

ტახტზე დამაწინეს, ზედ ლუმელთან. ლეიბები დატე-  
ნილი იყო ქონდარა ბუჩქის ტოტებით, წინეი ჩამოფანტო-  
და, გამომწალიყო, შიმშელი ტოტები მუქართი მოხრი-  
ლიყვნენ ჭუჭყიან, ზოლიან ქსოვილქვეშ. თვისი ნაფშენეტი  
იფრქვედა მჭიდროდ დატენილი ჭუჭყიანი ბალიშოიდან.  
მეჩხერი, ვაქცული მათუდის საბანამ, ზედ დაკერებული  
რომ შქინად წარწერა „ფეხები“, გამოხატავლიქვა მთელი  
სამყაროდან. ბარის მსგავსი კუნთები ხელ-ფეხისა მტეხ-  
და, მოყონელი თითები შექავებოდა. მაგრამ ავადილობა  
ტკივლზე ძლიერი იყო. გორგალიეფი მოვიკეცი, ხელები  
მოვაიხებე ფეხებზე, ჭუჭყიანი კანჭები მსხვილმარცველა  
ტყავით რომ იყო დაფარული, და იტყოდი — ნიანგისაო,  
ნიკას მოვაჯინე და ჩაიქვიდა.

გამეღვიძა დიდი  
ხნის შემდეგ. ჩემი სა-  
უზმე, სადილი, ვახამი  
ენყო იატაკზე, სანოლ-  
თან. ხელი გაიწვინე,  
ვტაცე უახლოეს თუნუ-  
ქის ჯამს და შეუდეფი  
ზედიზედ ყველაფრის  
ჭამას, დროდადრო  
ვკებდი პანანკინტელა  
ლუკმებს შურის ულუ-  
ფიდან, იქვე რომ იდო.  
მეზობელი ტახტებიდან  
ავადმყოფები მიყურებ-  
დნენ, როგორ ვყლაპავ-  
დი საკვეს. ისინი არ  
მეკითხებოდნენ, ვინა  
ხარ და სადაფური: ჩემი  
ნიანგისტური კანი თავადეფ ამბობდა თავისას. ისინი არც  
კი მომამეტრედებოდნენ, მაგრამ — ეს მე თვითონ გამომიქ-  
ვია — ძნელია თვალი მოსწყეტიო მჭამელ ადამიანს.



ჩემთვის დატოვებული საკვები ვმითანთე, გავთბი, და-  
